140
1982/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

1
1982

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნიკო პაპა გვილოცავს ახალ წელს

ჩვენი „პიონერი“ კარგა ხანია დავაჟკაცდა, მაგრამ მარად ჭაბუკია, ხალისიანი, იმედიანი და მარად წინსწრაფი. მე „პიონერს“ როდესაც წარმოვიდგენ, ყოველთვის წითელყელსახვევიან ჭაბუკად მესახება, რომელსაც რკინის ქალამნები ჩაუცვამს, რკინის ჯოხი დაუჭერია და დადის ჩვენს დალოცვილ ლამაზ მთა და ბარში, ყოველ სოფელში შეივლის, ყოველ სახლს მოინახულებს, ყველას თბილად გაუღიმებს და დატოვებს თავის გულის სითბოს, სიყვარულს და, რაც მთავარია, ცოდნას, უფრო სწორად ცოდნის სიბრძნეს. და სიბრძნე რის სიბრძნე იქნება, რომ იგი ერთ ადგილზე გაჩერდეს, იგი იზრდება, მრავლდება და ირგვლივ სიკეთის ვარდ-ყვავილებად იშლება.

ნურასოდეს ნუ მოჰკლებოდეს ეს შესანიშნავი თვისება და ყოველთვის იყვეს ჩვენი საყვარელი „პიონერი“ სიკეთისა, სიყვარულისა და ცოდნის მთესველი.

ვულოცავ „პიონერს“ და მის მრავალათასიან ნორჩ მკითხველს 1982 წლის დადგომას. დაე, ეს წელი ბედნიერი, სიხარულითა და წარმატებებით გამორჩეული ყოფილიყოს, თქვენთვის.

თქვენი [signature]

# გაიხაროს მიწამ მშობელმა

**სიმონ შამერიანი**

შემოცისკარდა,
შემობრძანდა ახალი წელი,
დალოცოს რათა
ჩვენთა სახლთა
ფუძე და ჭერი,
ირგვლივ ყოველი—
მთა თუ ჭალა,
კორდი თუ ველი—
ააყვავილოს, ალამაზოს
ათასი ფერით;
და, ვით აქამდე დაგვხაროდა
ცა მოწმენდილი,
ამიერითაც თვალს ხიბლავდეს
ლაჟვარდი წმინდა,
მზეს არ დააჩნდეს
თუნდაც ერთი შავი წერტილი,
მხარგაშლილებმა ვიოცნებოთ,
ვისუნთქოთ მშვიდად;
ვისწავლოთ ისე,
ეკადრება ვითარცა ქართველს,
ვიშრომოთ ისე,
გაიხაროს მიწამ მშობელმა,
თითოეული ვგავდეთ ლაღი
შავარდნის მართვეს,
ფრთებს რომ იწაფავს
სიმაღლეთა დასაპყრობელად.
მაშ მივცეთ მხარი
ყოველ რიჟრაჟს ამ წელიწადის
ზნით ღირსეულით,
შრომა-გარჯით,
ცოდნისკენ ლტოლვით,
და კიდევ უფრო,
კიდევ უფრო
გვიყვარდეს, გვწამდეს
მამული ჩვენი—
თავისი მზით,
თავისი თოვლით!

12160



მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

პიონერი

1 იანვარი 1982

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ...



# მეში

ელგუჯა მერაბიშვილი

მხატვარი ჯაურ დეისაძე

მოთხრობა

კალათბურთის ფარქვეშ ვიდექით. მირზა მასწავლებელმა ხელი შემართა და ორი გაფარჩხული თითით გვიჩვენებდა, თუ რამდენი საჯარიმო უნდა ეტყორცნა აყლაყუდა დუროს. დუროს ოფლიანი თმა გასჩეჩოდა, გადმოცვენაზე ჰქონდა დიდრონი შავი თვალები, ბურთი ხელებში მოექცია და კალათს უბღვერდა.

— ბატონო მირზა, ტელეფონთან! — მოისმა სამასწავლებლოს ღია ფანჯრიდან.

მირზა მასწავლებელს ყურადღება არ მიუქცევია, სასტვენს ჩაბერა. ბურთი მსუბუქად მიენარცხა ფარს, კალათის რკალზედ დატრიალდა და მერელ: ჩაეშვა...

დურომ კიდევ ერთი საჯარიმო სტყორცნა, ვერ ჩააგდო. მირზა მასწავლებელმა თამაში შეაჩერა და სამასწავლებლოსკენ წავიდა.

ბიჭებს არ ეჩქარებოდათ, არდადეგების წინა დღეს, გაკვეთილების შემდეგ სხვა რა უნდა ექეთებინათ. ორიოდე დღეში ოქტომბრის დღესასწაული იწყებოდა.

მირზა მასწავლებელი მალე დაბრუნდა, უჩემოდ ითამაშეთო, გვითხრა და გასახდელისაკენ წავიდა.

— სოფლის თავში ვერტმფრენი მელოდება, აბა რა გიყოთ: რომ არ წავიდე, არ შეიძლება, — მოგვაძახა, რაკი დაგვინახა, რომ მას გავყურებდით.

ამის გაგონება იყო და — მაშინვე უკან ავედევნე.

— მირზა მასწ, წამოვალ რა?

მომხედა, წარბები შეყარა და როგორც სჩვეოდა, ხელისგულით მოითელა მახვილი ცხვირი.

— მე თვითონ მათეს მივყავარ, ჩვენს ტყისმცველს.

— მათე არც ჩვენზე იტყვის უარს, — უპასუხეს ჩემს მაგიერ.

დუროს ხმა ვიცანი, იმავ წამს თავისებურად დაიქსუტუნა და მხარზე გადამდო გრძელი მკლავი. მირზა მასწავლებელმა ერთი კი მოგვხედა და ალარაფერი უთქვამს, გზა განაგრძო.

სასკოლო სატყეო რაზმის წევრები ვიყავით მე და დურო, თანაც ყველაზე აქტიური წევრები და თუნდაც ამის გამო მათეს უარი არ უნდა ეთქვა ჩვენთვის ტყისკენ ვერტმფრენით გასეირნებაზე.

— გგონიათ, სასეირნოდ მივდივართ? — თითქოს ჩვენს გულში იჯდაო, შემოგვცინა მირზა მასწავლებელმა და თაფლისფერი კეთილი თვალები აუჟუჟუნდა. — კაკბების საკრიახოების თავზე ამ ზაფხულს გათიბული თივა ჰქონიათ დაბულულებული და ახლა, სანამ თოვლს ჩამოჰყრის, დაბლა უნდათ ჩამოიტანონ შველ-ნუკრებისათვის.

— მაგის გულისთვის თქვენ არ შეგაწუხებდნენ, — შეჰლიმა დურომ.

— არა, რაკი გზად მიდიან, ბარემ წამიყოლებენ: ტრასა უნდა შევარჩიო ლაშქრობის მოსაწყობად.

— მაშინ გაუხარდება კიდეც მათეს ჩვენი დანახვა, — გული მომეცა და თამამად ავედევნე უკვე სკოლის ჭიშკრიდან გასულ მასწავლებელს.

●

მწვანედ შეღებილი ვერტმფრენი კოლმეურნეობის კალოსთან კოშკებად აღმართული ძნების გვერდით იდგა, მის თავს ზემოთ წრეებს ხაზავდა დიდი განმზიდი ხრახნი. ღია კართან სატყეო ფორმაში გამოწყობილი მათე იდგა.

— რომ არ გამოჩენილიყავი, უკვე მივდიოდით, — გამოსძახა მირზა მასწავლებელს. — ეგენიც მოგყავს? — იკითხა მერე. — შე კაი კაცო, ორივე ხანი რომ არ აგერჩია, მოლები გაგიწყდა ქვეყანაზე? — და თავის ხუმრობაზე თვითონვე ახარხარდა.

მირზა მასწავლებელს არაფერი უთქვამს, წინ გაგვიშვა. ვერტმფრენის ილუმინატორში მოძრავი ლანდები შევნიშნე, მივხვდი, რომ მათეს გარდა სხვებიც მოდიოდნენ ხეობაში. გაუბედავად შევაბიჯე. უკან დურო მომყვა. პილოტის გვერდით ვეება ტანის ულვაშა კაცი იჯდა, ცოტა აქეთ კი ბუნების დაცვის ინსპექტორები ისხდნენ, — ქუცუნა და ვენგო. ქუცუნას ხაკის გიმნასტურა და გალიფე ეცვა, გრძელი ფეხები წინ გამოეშოტა და ვეება კუნძებივით ეწყო იატაკზე ორმოცდაუკანასკნელი ზომის ბათინკები, ვენგოს ხვიხვინს უსმენდა და ვაზროდ შემოგვყურებდა. ალით ატრუსულს მიუგავდა აჯაგრული წვერი და გაფარჩხული ულვაში. ვენგო მომცრო კაცი იყო, წიწაკასავით წაწვეტებული წითელი ცხვირი მუჭში ჩაეყო და ყურში რაღაცას ეუბნებოდა ქუცუნას. ორივეს ეცინებოდა.

მათე რაღაცით მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ. შემოვიდა თუ არა, შალითაში ჩადებული თოფი იქვე მიაყუდა და ვენგოს გადაუტრიალა თვალები.

— ეგენიც თივაზე მოდიან? — ჰკითხა მირზა მასწავლებელმა მათეს.

— არა, ზემოთ, თეკნელას მორევებში თევზსა სწამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობა „ბეჭს“ ჟურნალ „პიონერის“ კონკურსზე პრემია მიენიჭა.



ლავენ წალკის მხრიდან გადმოსული ბრაკონიერები და ამალამ იმათ უნდა ჩაუსაფრდნენ.

მე და დურომ მოწონების თვალით შევხედეთ ინსპექტორებს. სასკოლო სატყეო რაზმის ბიჭებსაც გვინდოდა ორი დღის წინ რეიდის მოწყობა იმ ადგილებში, მაგრამ მირზა მასწავლებელმა არ ქნა, ბრაკონიერები შეიარაღებულები არიან და თქვენ მათთან ვერაფერს გახდებითო.

ვერტმფრენმა გუგუნს უმატა და სალონი მსუბუქი ბიძგებით შეზანზარდა. ჰაერში ავიწიეთ.

— ორი ხანი მიმშვენებს მხარსა, — ალარ მოგვეშვა მათე, — მარცხნივ დურმიშხანი მიზის, მარჯვნივ სულხანი. — ორივეს ხელები მოგვხვია და მიგვიზიდა. — კარგი ბიჭები არიან, — ეუბნებოდა ქუცუნასა და ვენგოს.

ამ ლაპარაკზე ულვაშამაც მოაბრუნა ფართოყვრიმალებიანი სახე და დაკვირვებით შეგვათვალიერა.

მათე ახლა გზის თვალიერებით გართულ მირზა მასწავლებლისაკენ მიბრუნდა:

— ხედავ, ზუსტად იმ გზას მივდევთ, არჯევნის მთისკენ გამავალსა, ფიჭვნართან ცოტახნით დაგვეკარგება, მერე კი, ფიჭვნარიდან გასულმა, ალმა კლდოვან კაპნებზე თოკივით გადაკიდულ ბილიკს უნდა გაადევნო თვალი, ეგ არი გაგრძელებაი.

დაბლა ნარინჯისფერ თუ მეწამულ კოცონებად ბრიალებდა ტყე, ფოთოლცვენა ახალი დაწყებული იყო.

— ხედავთ, როგორი ტყე მაქვს! ტყეკაფშიც კი კაციშვილს ნაჯახი არ მოუქნევია უჩემოთა. თავს ვადგევარ, ჯიშიანი ხე არ მომიჭრან-მეთქი. ზოგი კაცი ისეთი წუპაკია. ტყეში არ შეიშვება. აბა რად გინდა იმის გამოხშირული აგარაკი, კარგს მოსჭრის. უხეიროს გაუშვებს. ჩემი სიმტყუნის გულისთვინა, აი ცოტა დაბლა დაეშვას და ნახავთ, როგორა მაქვს მანდაურობა დამასმასებული. მერე კიდევა, რა გინდა, რომ მანდ არა ხარობდეს ნადირის საკვების მომცემი, ესაო მაჟალოო, ესაო პანტაო, ზღმარტლიო, თხილიო, კოწახურიო, სოკოო... ახლა რკოსა და წიწიბოს ალარ იკითხავთ?.. ისე დასუქდნენ ლორები, რომა, ბეწვი რო გამოაცალო, ქონი გამოგყვება...

ანაზდად მათემ ტრაბახი შეწყვიტა და, როგორც იდგა ილუმინატორთან, ისევე გაშეშდა. გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა, გადმოცვენაზე ჰქონდა თვალები.

— შენ გარეულ ტახს ბეწვი გამოაცალე და რაც გამოგყვება, მერე ნახავ, — გამოექილიკა ვენგო, მაგრამ მათეს არც გაუგონია.

ანაზდად კარს ეცა და ზედ მუშტები დააბრახუნა.

— ახლავე გამიჩერეთ... გამიშვით, მაგათი!. — ილრიალა.

ყველა მას მიაჩერდა, ვერ გაეგოთ, რა დაემართა.

— მოიცა, მალალ ხესთან მივაყენებთ და ზედ გადაბობლდი პანტის დათვივითა, — გამოსძახა ქუცუნამ და ახვიხვინდა.

სხვებსაც გაეცინათ, მაგრამ მათეს გაავებულ მზერას რომ წააწყდნენ, ყველა დასერიოზულდა. პილოტის გვერდით რომ ულვაშა კაცი იჯდა, წამოდგა და მათესკენ წამოვიდა.

— რა გაყვირებს? — ჰკითხა და ცალი წარბი აზიდა.

მათემ ილუმინატორიდან დაბლა ტყეზე ანიშნა.

— აბა გადახედე, გუშინწინ რომ ამბობდი, ყვითელი ჩირაღდნებივით ანთიანო. აგერ იმ ხევიანი გზის გასწვრივ მდგარ დიდ მუხებზე, ჩანან კიდევა?

ულვაშა გაკვირვებული დაჰყურებდა ტყეს. მე და დუროც მივედით ილუმინატორთან და ზედ მივაჭყლიტეთ ცხვირები.

— მაგათ ზემოთ ორი წითელი ქოლგა კიდევ ეჭირათ ნეკერჩხლებსა, — ჩაილაპარაკა ულვაშამ და ტაში შემოჰკრა, ეს რა უქნიათო.

დაბლა კოცონებად ენთო ხეთა ვარჯები და კორომები, მეწამული კაბები ეცვათ კენარ ნეკერჩხლებს და ჭანჭყატებს, აქა-იქ ვერხვების ლიაწითელი მოსასხამები კრთოდა, მაგრამ ჩახრამული გზის პირას, მცირე ფლატის თავზე ჯერ კიდევ ორი დღის წინ ამაყად გადმომდგარ მუხებს თითქოს ყვითელი ჯუბაჩები გაეხადათ, ძირს დაეყარათ და სადღაც წასულიყვნენ — ყვითელ წრეებად ეყარა გზაზე მუხების კუწუბა ტანსაცმელი, ალბათ ტოტების ნასხეპი.

ვერტმფრენი ნელა ეშვებოდა და თანდათან ახლოვდებოდა ტყე. სალონში დაძაბული სიჩუმე იდგა, მხოლოდ ძრავების გუგუნი ისმოდა.

●

ვერტმფრენი ოდნავ საგრძნობი ბიძგით შეეხო მიწას. ვიდრე ძირს ჩავიდოდა, მათემ მირზა მასწავლებელს მოჰხედა. თქვენც ჩამოდით, იქნებ როგორ დამჭირდეა თქვენი თავიო, თქვა და კარის ღიობში გაუჩინარდა.

ვერტმფრენმა ნელა აიწია ცაში და ჩვენ ცხილნარშუა მოქცეულ პატარა ველზე დაგვტოვა. სანამ მიმოვიხედეთ, მათე უკვე დახრამულ გზაზე გარბოდა და თან თოფი შალითიდან ამოჰქონდა. სირბილით მივყევით უკან მე და დურო. მირზა მასწავლებელი ნელა მოდიოდა ჩვენს უკან და ადგილმდებარეობას აკვირდებოდა.

ერთ ადგილას მათე შეჩერდა და მჯილი ჩაიკრა მკერდში. გზაზე რამდენიმე ალაგას იდგა ყვითელი ფოთლების ტბორი.

— ხედავ შენა, ნასხეპი ტოტები მიუფარ-მოუფარებიათ, ნაჭრავი ჯირკებისთვისაც ძველი ფოთლები წაუყრიათ, თვალს მიხვევენ მითომა. — გზიდან გადავიდა, დამპალი ფოთლების გროვები გაქექა და ახალნაჭრავი ჯირკები გამოაჩინა. — რვა ძირი მუხა, ორი ნეკერჩხალი და ორი პანტა მოუჭრიათ არამზადებსა.



მირზა მასწავლებელიც მოვიდა. ნაჭრავები რომ ნახა, ავად წამოენთო თვალები.

— მიწაზე ცხვირდადებული მოვდივარ, გზას ვსინჯავ, მაგრამ კვალი ვერ ვნახე, — თქვა და ამოიოხრა.

— ტყეკაფამდინ ზურგით გაზიდავდნენ, იქ კი ათასი კვალი ირევა, — მათეს ორი ბრტყელი ნაფოტი ეჭირა ხელში.

მე აქა-იქ მიყრილ ნასხეპ ტოტებს მივაგენი. დუროც ხეებშუა დაიზლაზნებოდა, აჩეჩილ თმაში რცხილის წვრილი ფოთლები ეყარა.

— სულხან, მოდი რა გაჩვენო, — დამიძახა და ჩაცუცქდა.

მაშინვე მივირბინე და თავს წავადექი. თეთრად დაჭორფლილი მსხვილი წიფლის ძირას გაზეთის ნახევი ეგდო, ძეხვის ნაფცქვენები და ხახვის ფოჩები ეყარა.

— იქნებ აქ მაინც ვნახოთ ნაფეხური, — მითხრა დურომ.

მე გაზეთის ნახევი ავიღე ხელში. რუსული გაზეთი იყო, ცხიმით დალაქავებული. წინა გვერდი იყო, სათაურის სამად-სამი ასო შემორჩენოდა და კიდევ — ტექსტის ზემოთ არშიაზე მელნით მინაწერი. ალბათ მისი გვარი ეწერა, ვისაც ეს გაზეთი ჰქონდა გამოწერილი, მაგრამ ისე იყო მიჩხაპნილი, რომ არაფერი იკითხებოდა.

— რა გაზეთია? — მკითხა მირზა მასწავლებელმა.

— რა ვიცი, „ტია“ აწერია ზედ და...

— ახლა ტია-ტიაღა გვჭირდება ჩვენა, — ბოღმით თქვა მათემ.

— „იზვესტია“ ყოფილა, — თქვა მირზა მასწავლებელმა. — გეში ვიპოვეთ, აი, ეს მელნით ნაწერიც რომ ამოგვეკითხა...

— გეში მეც ხელში მიჭირავს, — მიუგო მათემ და გაშლილ ხელისგულებზე დააწყო ნაფოტები.

— წუხანდელი მოჭრილია, თანაც კიდევა ქართული ვიწროპირიანი ცულითა. ერთ ადგილას პირი აქვს ჩამტვრეული ცულსა და აი, ამისთანა ხაოიან ზოლს ტოვებს ნაფოტზე და ჯირკზე.

მირზა მასწავლებელმა ხელში აიღო ნაფოტი, შეათვალიერა.

— გაზეთის არშიაზე ფოსტალიონის მინაწერი რომ ამოგვეკითხა... — აღმოხდა ნატვრასავით. — გუმანი არავისზე გაქვს? — ჰკითხა მათეს.

— ჩვენებზე არავისზე. ვინც კი შემჩნეული მყავს ტყის ქურდობაში, ყველანი იქ იყვნენ გუშინა, ბებრის ხარჯში. იმან უფრო გამაბედინა წასვლაი. ვიფიქრე, რაკი ქურცახები აქ არიან, ტყეს რაღა ყარაული უნდა-მეთქი... თურმე ჯერ სადა ხარ, — ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში მჯილი და კბილები დააკრაჭუნა. — კარისუბნელები მეზამდნენ, სიკვდილმა მოუნგრიოს მაგათ კარიცა და ბანიცა! ეტყობა, ხარჯში გამიგულეს და...

— სოფელში ფოსტალიონები უნდა ვნახოთ და ეს გაზეთი ვაჩვენოთ, — დასძინა მათემ. — მაგრამა, მე რომ ვაჩვენო, მაშინვე მიხვდებიან, რისთვინაცა ვკითხულობ და სუ დამიკვლანჭამენ გზებსა.

— მე ვკითხავ, — მირზა მასწავლებელს ცნობისმოყვარეობით უელავდა თვალები.

— არა, შენ მაგდენს როგორ შეგაწუხებ, სოფელ-სოფელ გატარო, ამ ბიჭებს დავსაქმებ, — მათემ ჯერ დუროს შეხედა, მერე მე დამადგა მზერა და დიდხანს მიყურა თავისი მწვანე თვალებით. — რას იტყვი, სულხან, წახვალთ კარისუბანში?.. ნუ გეშინიათ, მეც შორიახლო აგეტორღიალებით.

— მაგას რაღა კითხვა უნდა, განა სასკოლო სატყეოს ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა არ უწერია თავის წესდებაში, — მირზა მასწავლებელმა კეთილად შემოგვხედა...

— რახან ასეთი კაი ბიჭები ხართ, გაიქეცით და დაბლა ველიანში ჩადით, ნეკერჩხლის ნარგავების გვერდით ჩემი ცხენი აბია, იმაზე შეჯექით ერთ-ერთი და იქვე მოწანწალე მლივის ცხენი გამიბაწრეთ, სანამ ჩამოვიდოდე.

— მე დავიჭერ, — შევსცინე მათეს, — პატრონი ვეგონები, პირწავარდნილი მლივის ბიჭი ვარ, კოწოი.

ტყისმცველი ჭირის ოფლს იწმენდდა, მაგრამ ამის გაგონებაზე შემომხედა და ერთი ჩაიფრუტუნა.

მე და დურო თავდაღმართზე დავეშვით, ფოთლებით სქლად დაფენილ გზაზე მივრბოდით და სულ შრიალშრიალი გვეყენა. ველიანებში რომ გამოვედით, წამით შევჩერდით და იქაურობა მოვათვალიერეთ. ტყისპირის გაყოლებაზე სანთლებივით ენთო ნეკერჩხლის ნარგავების პაწია ვარჯები, თავი და ბოლო არ უჩანდა მწკრივებს.

მათეს ცხენი იქვეება ბუჩქთან, მლივის თოვლივით თეთრი ულაყი კი ნარგავებშუა დადიოდა და ბალახს წიწკნიდა. არც დავფიქრებულვარ, მუჭგაწვდილი წავედი მისკენ. კოწოსავით ძურწა ბალახა თმა მეყარა შუბლზე და ყურებს ზემოდანაც მქონდა გადმოჩაჩული, მასავით მოკუზული მივდიოდი, წინ წამოფარცხული თმა თვალებზე მეფარებოდა და აბა როგორ უნდა ვეცნე. ყურები დაცქვიტა, თავი ასწია და ასე მელოდა, თან მაკვირდებოდა. სულ ახლოს რომ მივედი, მაშინღა დაეჭვდა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ყელზე შერჩენილ თოკის ნაგლეჯზე ჩამოვეკიდე და ზურგზე მოვექეცი.

— ჰა, ყოჩაღ, სულხან. შენ ყოფილხარ, რაც ყოფილხარ!.. ან კი როგორ უნდა ეცანი, მლივის ბიჭივითა ხარ გამურული, იტყვი, ბუხრის საცობელად უხმარიათო, — მათე თავის ცხენთან მივიდა, თოკი დაუავშარავა და ლოდთან მიიყვანა, რომ შემჯდარიყო. — ჰაი, უსეინავ, მშიერი დარჩი ისევა, — შეუწყრა წაბლისფერ იაბოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ მოევლო. — მეხი კი დაგეცეს, რაც შენ ცხენად ვერ იქცე. ჰაჩუ, გადაადგი ფეხი! — უყვირა და მერე ჩვენ გამოგვძახა: — ორივენი შესხედით მაგ ოხერზე და ჯარიმაც ეგ იქნება, სულ გაზურგნა აქაურობაი.

თეთრი ულაყი დიდ ლოდს წავუყენე, დურო უკან შემოვისვი და მათეს ავედევნე. ჰკუით იყავითო, შორიდან გვეძახდა მირზა მასწავლებელი.

●

სოფლის პირას მათე ცხენიდან ჩამოვიდა და დუროს მიუგდო ავშარა, შენ შეჯექიო.

— მე შორიახლო აგედევნებით, შეიძლება შეგხვდეთ კიდეცა, მაგრამ დრომდინა ვერ ვიცნობთ ერთმანეთსა, გამიგეთ?

მე და დურომ კარგა მანძილით გავუსწარით მათეს და ახლა ვიწრო ქუჩით მივათოხარიკავებდით ქოშინავარდნილ ცხენებს. მორთვლიანებულ ვენახებსა და დაკრეფილ ბაღებს სიცარიელისა და მოწყენილობის იერი ედო. ხალხი უმეტესად სახლში და ეზოებში ფუსფუსებდა. აივნებზე უკვე გაეკიდათ ბადაგიანი ჩურჩხელები, ბოძებზე წითელი წიწაკის გალები და კომშის ჯაგნები ქანაობდა.

მთავარ გზაზე გავედით და მალაზიასთან თავმოყრილ ხალხს ჩავუარეთ. მოხუცი კაცი მანეულის გოდორს წნავდა მყუდროში, მასთან შევაჩერე ცხენი.

— პაპა, აქ ახლოს თოლიმზე უნდა ცხოვრობდეს, არეშიძეა გვარად, მამამისს ალექსი ჰქვია, — ვკითხე.

მოხუცს არც შემოუხედავს ჩვენთვის, ნელა წნავდა და თან ხვნეშოდა.

— ეგ თვითონ თოლიმზეს პაპაა, — მოგვაძახა უკანიდან პატარა ბიჭმა, — ყურში არ ესმის. — წინ წამოდგა და, ამ წუთას დავუძახებო, გვითხრა.

— თოლიმზე ვინლაა, — მკითხა დურომ, როცა ბიჭი ცისფრად შეღებილ ჭიშკარში შევიდა.

— მათემატიკის ტურზე ერთად ვიყავით, მაგარი გოგოა. აქაურ მოსწავლეებს რაღაცა თანამდებობაზე ჰყავთ არჩეული და სკოლის საპატიო დაფაზეც ცენტრში უკიდიათ მისი სურათი.

ამის თქმა იყო და თოლიმზეც გამოვიდა ჭიშკრიდან. სახეზე ჯერ გაკვირვება დაემჩნა, შემდეგ, ეტყობოდა, მიცნო, ღიმილით გაებადრა სახე. საშინაოდ ეცვა. ყვავილებიანი ჩითის კაბის საყელოზე შეივლო ხელი, თმა შეისწორა და შემოგვეგება. მაშინვე ჩამოვქვეითდით. გულისჯიბიდან გაზეთის ნახევი ამოვიღე, გავშალე და მოკლედ ავუხსენი, რაც გვინდოდა.

— ასე ცხენებით სიარული უხერხული იქნება, აგერ გამოაბით ლობესთან და წავიდეთ, ფოსტა აქვეა, — გვითხრა და ეშმაკურად აუციაგდა თვალები.

თოლიმზე დაგველოდა, სანამ ცხენებს მივაბამდით და მერე სწრაფი ნაბიჯით წინ გაგვიძღვა. ბოლოს გზიდან გადაუხვია და ერთ ძველ შენობას მიგვაყენა.

— ახლა ისეთი დროა, აქ არ იქნებიან, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

თოლიმზემ ერთხელ კიდევ ჩაიცინა, ამაყად თავაწეულმა შეიარა ყურთამდე ღია კარი და შემინული მოაჯირის პაწია სარკმელში შეყო თავი.

— პელო დეიდა, ფოსტალიონები დღეს აღარ მოვლენ? — ჰკითხა მაგიდაზე დახრილ ჭაღარათმიან, გამხდარ ქალს.

— რაში დაგჭირვებია?

— აი ამ გაზეთში რაღაცა იყო შეხვეული, გვინდა გავიგოთ, ვისია, — მიუგო თოლიმზემ და გაზეთის აშიაზე მიჩხაპნილს დაადო ხელი.

— ქენიას ნაწერია, — თქვა ქალმა. — რა ამოკითხვა მინდა, ისედაც ვიცი, რომ ანო მასწავლებლის „იზვესტიაა“. რა იდო შიგ?

— ისეთი არაფერი, მივალთ და მივუტანთ, — მივუგე მე და გულდაწყვეტილი გამოვბრუნდი.

დურომ შემატყო, რომ ხასიათი წამიხდა, ახლოს მოვიდა და განდობილად მითხრა:

— მერე რა, რომ მასწავლებელია, იქნება ქმარი ჰყავს ან ძმა ტყეში მოსიარულე. შეიძლება სულაც უცხოები იყვნენ მისთვის შეშის მოსატანად. საბჭო ხომ უზიდავს მასწავლებლებს.

—არა, ანო მასწავლებელი მარტოხელა ქალია, შეშა ამ ზაფხულს მოუტანეს, კარწინ წიფლის მსხვილი მორები ულაგია.

— მაშ ვის უნდა დარჩენოდა იმ უღრან ტყეში ეს გაზეთი?.. გამოდის, რომ სულ ცუდუბრალოდ გამოვიარეთ ამხელა მანძილი, — დაჩივლებასავით წამომცდა.

— შეიძლება შეცდომით სულ უცხოსა და უმეცარს მიუტანეს ანო მასწავლებლის გაზეთი. იმანაც აიღო და გაახვია შიგ ტყეში წასაღები საგზალი. წადი და ეძებე ვინ იყო, — ბურტყუნებდა დურო.

თოლიმზე დაფიქრებული იდგა, მერე ლოყაზე შემოიდო კოპწია ხელი და დიდრონი, ღოღნოშოსფერი თვალები შემოგვანათა.

— ერთ კაცზე მაქვს ეჭვი, მაგრამ მეშინია, ვაითუ გავწბილდე და კიდევ ტყუილად გატაროთ, — გვითხრა.

— უკან ხელცარიელ გაბრუნებას კიდევ ეგ ჯობია, იქნებ გაგვიმართლოს. მაინც რამ გაფიქრებინა? — შევეკითხე.

— ანო მასწავლებელს იმ კაცის ცოლი თავისი ხელით უზიდავს ხან მაწონს, ხან რძეს... ორი ფურკამეჩი ჰყავთ, ორივე ეწველებათ... სულ მუდამ გაზეთში გახვე-





ული და ვედროში ჩადგმული ქილები მიაქვს-მოაქვს... გამოწერილი კი არა მგონია, რამე ჰქონდეთ. კაცს შანკულა ჰქვია, სოფლის ბოლოში ცხოვრობს.

— წავიდეთ? — მკითხა დურომ.

თავი დავაქნიე და თოლიმზეს ვუთხარი, გაგვიძეხიმეთქი. ერთი თავისებურად კიდევ შემოგვხედა, თითქოს ფხას გვისინჯავდა, ერთი გნახოთ, რა ბიჭები ხართო, და მთავარი გზიდან ირიბად აჭრილ ორღობეს დაადგა.

უსწორმასწოროდ ნარგავი ეკლის ღობეს მიგვაყენა, მერე ამ ღობეში სადღაც შინდის წნელით ჩაწნული ჭიშკარი მოგვიძებნა და კუტიკარს ხელი ჰკრა. კარი ჭრიალით გაიღო და ვრცელი ეზო გამოჩნდა. ფარეხივით დიდი საცხოვრებელი სახლის გვერდით უთვალავი ხუხულა იყო წამოქოხილი, სათივეებზე ფუჩეჩისა და ნამჯის ზვინები ალმართულიყო და ზედ გრძელი ლატნები იყო მითაკრული. სათონის გვერდით ხმელი შეშა და ფიჩხიც ბლომად ეყარა.

— შაშა ბებო! — გასძახა თოლიმზემ ეზოში მოფუსფუსე ფაშფაშა დედაკაცს.

დედაკაცმა შუბლიდან ხილაბანდი უკან გადაიწია, წელზე შემოიდო დაჭორფლილი ხელი და გაკვირვებულმა შემოგვხედა.

— ამ ბიჭებს შეშა ჰქონიათ დამზადებული ტყეკაფში და სხვას წამოუღია, იმას ეძებენ.

— არა, თქვენმა მზემა და ჩემი აჩიკოს ტკბილად დაბერებამ... სამი წელი მაინც იქნება, ამ კაცსა ტყეში არ გაუვლია. ერთი მანქანა ქვანახშირი გვიყრია დაბლა აივანში, რა თავში ვიხლი ქლამპლ შეშასა... თორემა, თუ არ გჯერათ, შემოდით და ნახეთ... ძაღლიც არ არი შინა, კაცს გაჰყვა დილასვე.

კიდეც რომ იყვეს, რას მიზამსო, ჩაიბურტყუნა დურომ და ეზოში შეძუნძულდა, აქეთ მოდგა, იქით მიდგა, მაგრამ ვერაფერი ნახა.

ის იყო გამობრუნებას ვაპირებდით, რომ მათე წამოგვადგა თავს.

—სად არი კოვზიაშვილი? — ჰკითხა დიასახლისს, ქუდქვეშ შეიყო ხელი, თან კეფას იფხანდა და თან იქაურობას ათვალიერებდა, მერე მკვეთრად მიბრუნდა და ცულდარჭობილი კუნძისაკენ წავიდა. დახედა კი, მაგრამ ხელი არ უხლია, ალბათ ის არ იყო, რასაც ეძებდა.

ეზოს გარეთ რომ გამოვედით და ცოტას [illegible], მათემ გაგვაჩერა. რაკი შეატყო, რომ თოლიმზეც ჩვენიანი იყო, არ მორიდებია, გულღიად გვისაყვედურა:

— თქვენც იტყვით, მეტყევეები ვართო... იმ კუნძს, ეზოში რომ ეგდო, ახლად გაქერქილი თუ დაჭრილი მუხის მომწარო სუნი ასდიოდა, — მერე თოლიმზეს შეხედა: — შენს გაზრდას, იმ ცხენებს მიგვიხედე, თითო მუჭა თივა მიუყარე. ამ ბიჭებს საბჭომდის მივიყოლებ და მალე დავბრუნდებით.

კი ბატონოო, მიუგო თოლიმზემ ზრდილობიანად, დარდი ნურაფრისა გექნებათო და მაშინვე წავიდა.

— საბჭოდან დეპუტატს წამოვიყოლებ და ისე მივადგები შაშასა, — გვითხრა მათემ და კბილები დააკრაჭუნა. — მე შენ გიჩვენებ, როგორია ცოცხალი სულდგმულების გატყავება.

ალბათ გაქერქილ მუხებს თუ გულისხმობდა.

ადმინისტრაციულ სახლს მივადექით. შიდა კიბით მეორე სართულზე დავაპირეთ ასვლა, მაგრამ ზემოდან მომავალმა ორმა კაცმა გადაგვიღობა გზა. ორივე ზონზროხა ტანისა იყო და მთელ სიგანეზე დაეკავებინათ კიბე. დაველოდეთ. დრო გვქონდა, რომ გვეთვალიერებინა და ჩვენც ვათვალიერებდით: ერთი ახალგაზრდა იყო, შავტუხა, სახემღიმარი, მეორე ხანში შესული, ჭაღარა, გვიყურებდა მაგრამ ერთ ადგილას არ აჩერებდა ელამელა თვალებს.

— რა გაგჭირვებია, ყარაულო, პირუბანელავ და უძილოვ, — ახალგაზრდა მიესალმა მათეს და ხელიც ჩამოართვა. ელამელათვალებიანი გვერდით ედგა.

— საბჭოს თავმჯდომარე მინდა, დეპუტატი მჭირდება ერთ ალაგასა.

— თავმჯდომარე არ არის ადგილზე. მეც თავმჯდომარე ვარ, მაგრამ კოლმეურნეობისა.

— შენ წამომყევი, — მათემ სახელოში ჩაავლო ხელი.

— დიდი სიამოვნებით წამოგყვებოდი, მაგრამ გზაზე ვდგევარ, ჩვენი საკითხი გადის რაიკომის ბიუროზე და იქ მივდივარ. ამ კაცს გამოგაყოლებ, დეპუტატიც არის და თანამდებობის პირიცა — ჩვენი ეკონომისტია.

მათემ თავი გადააქნია, მაგას ვერ წავიყვანო, და ამრეზით შეხედა ჭაღარა კაცს.

— საბჭოს თავმჯდომარეც რომ აქ ყოფილიყო, ამის მეტს ვერავის გამოგატანდა, კაციშვილი არ მეგულება სოფელში.

— ქვეყანაზე კაცის სახსენებელი რომ გაწყდეს, ამას მაინც არ წავიყვან, — მათე დაუფარავი სიძულვილით უყურებდა ჭაღარას, ის კი თვალს არიდებდა.

თავმჯდომარე ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, გაოცებული ჩანდა.

— იქნებ გეშლება და სხვა გგონია?

— ვიცი, ვინცა ბრძანდება... თარიმანი ჰქვიან და რთვილაშვილია გვარად. ერთ დროს, ათას ცხრაას უპატრონობასა, მეურნეობის დირექტორობამაც მოუწია და

სწორედ მაშინ დამამახსოვრა თავი... თუმცა მე გავჩუმდები და აი ამ ბიჭსა ჰკითხეთ.

მე შევხედე ჰალარა კაცს, იმანაც შემომხედა თავისი ელამელა თვალებით და უეცრად ელვისებური მოგონება გადაისარკა ჩემს თვალწინ....

●

ლოგინებიდან წამოცვივნული სასკოლო სატყეო რაზმის ბიჭები აქაქანებულები გავრბოდით მტვრიან საურმეზე. მე და ხვთისო დავწინაურდით, მდინარე ფეხგაუხდელად გავტოპეთ და სულმოუთქმელად შევუყევით აღმართს...

დილის ბინდში თეთრად გამოკრთა საყდრის ნანგრევი და მის გვერდით ცადაწვდილი ხმელი ხე.

— აბა შეხედე, ცაზე დარჩენილ ელვას არა ჰგავს? — მითხრა ხვთისომ, როცა აღმართი ავათავეთ და წამით შევდექით.

ხმელი ცაცხვი გაფარჩხული ტოტებით მართლაც ელვასავით შერჩენოდა ცას. ერთიანად ტანგაქერქილი რთვილდაკრულს ჰგავდა შორიდან.

მის ზედა ტოტზე გაკიდული ზარი აღარ გუგუნებდა, ღამის ფრინველივით დაყურსულიყო ორკაპთან.

ბიჭები მისმა საგანგაშო დაძახილმა წამოგვყარა ლოგინებიდან. მაინც ვინ უნდა ყოფილიყო, ვის უნდა დაერისხებინა ზარი?

კიდევ წავდექით და ნანგრევს მიღმა საოცარ სურათს წავაწყდით... მათეს ჩახმახშეყენებული ორლულიანი თოფი ეჭირა და განძრევის საშუალებას არ აძლევდა შორიახლო მდგარ სამ ცხენოსანს. გადაყვლეფილი სახიდან სისხლი ჩამოსდიოდა და ტანსაცმელიც დაჭმუჭნილ-მოსვრილი ეცვა... იმ სამიდან შუაში ეს კაცი იდგა თეთრ ცხენზე ამხედრებული...



●

— ყაჩაღივით მომადგა, ლიცენზია მაქვს. [illegible] წკებული დათვი გყოლიათ, მითხრეს ძროხებს თავს ესხმისო, ის უნდა მომაკვლევინოო. ეგეთი დათვი ჩემს აგარაკში არა ცხოვრობს-მეთქი, ვუპასუხე. როგორ არა ცხოვრობს, განებივრებული რომ გყავს, ლაფო რომ გიქვიან, აი იმისი ტყავი უნდა წავუღო ჩემს უფროსსაო... ვერ მოგართვეს-მეთქი. თორემ შენ გადამიდგები წინაო... ჯერ ძაღლები მომისია და მერე ცხენს გამაქელინა... ძლივს მივფოფხდი ხმელ ცაცხვამდინა და ძლივს დავარისხე ზარი.... იმ ზარის ხმაზე მობრუნდა თავის ძმაკაცებთან ერთადა... იქნება მოვეკალი კიდეცა. მაგრამ ძალა მოვიკრიბე და თოფშემართული დავხვდი.

მე ამ ბიჭებმა გადამარჩინეს... მაგისთვის კი პასუხი არავის მოუთხოვია. პირიქით. სანამ მე საავადმყოფოში ვიწექი, მაინც მოკლა ის მუქი მურა ლამაზი დათვი.... თბილისში რომ კოოპერატიული ბინა აიშენა, თურმე იქ უგია იატაკზე ყელში ორგან ჟაკანგავლილი ტყავი...

— კარგი, მათე, რაღადროს მაგეების მოგონებაა, — ჩაილაპარაკა ელამელამ და უხერხულად ჩაახველა.

— რაც შენ იმის შემდეგაცა ნადირ-ფრინველის ცოდო გადევს, იმდენი აი, ამასა ჰქონდეს შველაი, — მათემ გულზე მიიდო ხელი... — შენ დეპუტატი არ იქნები, რაღაცა ეშლება ამ თქვენ თავმჯდომარესა.

— ხალხმა ამირჩია და ვარ, — ელამელას სადღაც გაურბოდა თვალები.

— ძაან შემცდარან, რომ აურჩევიხართ... თუ აგირჩიეს... რაღაცა ძაან არა მგონია, რომა შენ დეპუტატი იყვე... შენისთანა დეპუტატის გამოყოლას სულ არგამოყოლა მირჩევნიან, — მათემ ორივეს ხელი მოგვკიდა და მოგვაბრუნა, წავიდეთ აქედანაო.

თავმჯდომარემ ცოტაზე გამოგვაცილა, თან მოგვიბოდიშა, საქმეს რა ვუყო, თორემ ასე არ გაგიშვებდითო.

— კოვზიაშვილის ეზოში ტყუილად ავტეხავთ აყალმაყალს, იქიდან დატვირთული ურემია გამოსული, — უთხრა დურომ.

— ვიცი, — მოკლედ მოსჭრა მათემ და წინ გაგვიძღვა, — თქვენ თუ გგონიათ, რომ პირველად მივდივარ იმ ვენახში! — ჩაიცინა და წინ წავიდა.

●

ფშატების ზღუდესთან შევდექით და კარგად მოვლილ დიდ ვენახს გადავხედეთ. ვენახი შპალერზე იყო გადაყვანილი. თავში, ბოლოში და შუაწელში ჩაყრილი მარგილები, თითქოს კუპრში გაუვლიათო, შავ მწკრივებად მოჩანდა, ზედ მავთულები იყო დაჭიმული. მავთულებს ისევ ამშვენებდა ნახევრად ფოთოლგაცვენილი ვაზის გაბმულები.

ვენახის თავში, ქოხთან კოცონი ენთო და კაცი ფუსფუსებდა. იქვე ურემი ეგდო, კამეჩები კი ალბათ საბალახოდ იყვნენ გარეკილი.

ვეება ნაგაზი ღრენითა და ყეფით შემოგვეგება, მაგრამ მათეს ხელში თოფი რომ დაინახა, კუდამოძუებული გაბრუნდა უკან და ბუჩქებში შეძვრა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მათე თავს წაადგა კოცონთან მოფუსფუსე კაცს და მერე ვენახს გახედა.

კაცი ცეცხლთან იყო დახრილი და მარგილს ტუსავდა. ყეფამ აახედა, წელში გასწორდა და მათეს გაავებულ მზერას წააწყდა.

სალამი რა უყავიო, ჯერ შეეხუმრა, მერე შესცინა.

— მოგწონს ვენახი? მაშ როგორ, თუ ვენახია, ვენახი უნდა იყვეს. იმიტომაც მეძახიან შამკულასა.

— შანკულა გქვიან, სახელს ნუ ილამაზებ, — კბილებში გამოსცრა მათემ და უკვე გატრუსულ მარგილებს დახედა.

— ვითომ შამკულა არ მომიხდებოდა? — კაცი გაიჯგიმა, მერე გულისჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მუგუზლით მოუკიდა. — ეგ ოთხი შარი მოვუმატე შარშანწინა, ნამყენი ჩავყარე, სულ გორული მწვანეა. ეს მარგილები მაგისთვის დამჭირდა და ბედზე თქვენებურებმაც ჩამოატარეს გასაყიდათა. როგორ მოგწონს, ხომ თამამი ვაზია, ახლა შპალერზე გადავიყვან და გაიმართება ვენახი.

მათე ვენახის ნაპირზე გავიდა და ახალშემომატებულ შარებს გააყოლა თვალი.

— ვენახიც მოპარულია და მარგილებიცა, — უთხრა შანკულას და თვალი თვალში გაუყარა.

— ვითომ როგორაო და საიდანაო, — დინჯად შეესიტყვა შანკულა, გაღეღილ ხალათს შიგნით შეიყო ხელი და ჭაღარა მკერდი მოიფხანა.

— საკოლმეურნეო ნაკვეთში შეჭრილხარ. აბა ქვემოთ შენს მომიჯნავეებს ჩაადევნე თვალი, ასე რომელია გადმოწეული... მიწა მიიტაცე და ახლა ტყისკენ გაექანე, არა?..

— მათე, ჭკუას დაუხმე... სისხლი არ შემამთხვიო, — შანკულამ სიგარეტი ცეცხლში ისროლა, ცულს წამოავლო ხელი და ისევ დააგდო.

— შენ რა, აქეთ მემუქრები? — მათეს თვალები დაუვიწროვდა.

— ალალ-მართალ კაცს მადებ ხელსა და მა რა იქნება.

— მაშ ეს მარგილები რა არის?.. ციდან ჩამოცვივდა?

— გითხარი, ვიყიდე-მეთქი. მორჩა და გათავდა. ვინც მომყიდა, ჩაიარა და წავიდა, არც მიცნობს და არც ვიცნობ.

ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ შეუმჩნევლად თარიმანი მოგვადგა. ძაან ვენახია მე და ჩემმა ღმერთმაო, ჩაიღიმილა. ამისთანა მშრომელ კაცს უნდა უთხრა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო, და წახვიდეო. მათეს გასაგონად ამბობდა.

— მეც წავალ. ოღონდ ჯერ აქტს შევაყენებ და მერე.

— რაზე უნდა შეუყენო აქტი, შე კაი კაცო. მე თვითონ ვესწრებოდი, როცა ამ კაცმა მარგილები იყიდა, — თქვა თარიმანმა. ეტყობოდა, დიდი ხანი იყო, რაც ყურს გვიგდებდა, — როგორ, ამისთანა მოწმე გაიმტყუნება? ხომ იცი, რაიონში ჩემს სიტყვას ჯერ წონა არ დაჰკლებია.



მათემ კუნძიდან შანკულას ცული ამოაძრო და ნაფოტებს შეუტოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ახლა ამ ცულს წავიღებ და ბიჭ[illegible] დამიდექი წინა, — ჯერ ვენახის პატრონს შეხედა და მერე თარიმანს გადაუტრიალა თვალები.

— ცული ბევრი წაგიღია, მაგრამ შენი ხელითვე მოგიტანია უკანა, — შანკულას ეგონა, ცულის წართმევით გადავრჩიო და შვებით ამოისუნთქა.

— ეს ნაფოტები ტყიდან არი წამოღებული, ორივე ამტკიცებს იმასა, რომ რვა მუხა, ორი ნეკერჩხალი და ორი პანტა ამ პირამომტვრეული ცულით არის მოჭრილი. გასაგებია?

თარიმანმა და შანკულამ ერთმანეთს შეხედეს და მერე მათეს მიაჩერდნენ.

— მერე კიდევ, ეს გაზეთის ნახევიც იქ დაგრჩენიათ, — ვუთხარი მე.

შანკულამ მიყურა, მიყურა და ერთი ისეთი ჩაიხითხითა, რომ ლამის თან წამოაყოლა მოლაფლაფებული ლოჯები.

— რაც თავი მახსოვს, გაზეთი არა მჭერია ხელში, — თევზის თვალებით მიცქეროდა.

— ანო მასწავლებლისგან წამოღებული გაზეთია, მაწვნის ქილას გამოყოლილი, — წამომეშველა დურო.

შანკულა ახლა მე და დუროს გვიბღვერდა და თან გაუპარსავ ლოყაზე დაახოხებდა ნიჩაბივით დიდ ხელს.

— კაცმა რომ თქვას, თქვენ ვილანი მიყრიხართ აქა, ენას რომ ასარსარებთ? — დაგვისისინა. — მოხალისეთ მისდევთ მამაძაღლობასა?

— მამაძაღლობა კი არა, ტყის დაცვაა ეგ, ბუნების გაფრთხილებაა, — შევედავე მე.

— ბიჭოს! ამათ არ უყურებ, რა ამბავში არიან? — შანკულამ მუქარა გამოურია ხმაში. — ჭკუის სწავლებაც არ დამიწყეს!

— რაც უნდა გასწავლონ, შენ აღარაფერი გეშველება... მცენარეს ცოცხლად აძრობ ტყავსა და მერე ცეცხლზე ჰხრუკავ, კაცი ხარ შენა? განა რას გაგიძლებს ეგ მარგილები, ბევრი-ბევრი ორ-სამ წელიწადსა. მუხებს კი ორიათასწლამდე შეეძლოთ ეშრიალათ და თქვენ სახლებში ფარდააწეული ფანჯრებიდან შემოეტანათ კრიალა ჰაერი, — მათემ ხაკის გიმნასტურის თოფრა ჯიბიდან გაკეცილი ქაღალდები ამოიღო და გამომიწოდა. — სულხან, გამომართვი და დაიწყე აქტი: ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი... მიჰყევი და დაწერე, როგორც მოხდა.

— მაგ აქტს არც მე მოვაწერ ხელსა და არც შანკულა, რაც გინდა დაწერე. როგორც დეპუტატს, მიმაჩნია, რომ ეს კაცი მართალია, — თარიმანი უარესად აპარპალებდა ელამელა თვალებს.

ანაზდად მანქანის ხმაურმა მიგვახედა, — ფშატების ზღუდესთან ალუბლისფერი „ჟიგული“ შეჩერდა.

— მირზა მასწავლებელი! — იყვირა დურომ.

მართლაც ის იყო. მანქანიდან გადმოვიდა და ენერგიული ნაბიჯით წამოვიდა ჩვენკენ. აი თურმე სად ყოფილხართ, მე კი მთელი სოფელი შევძარი თქვენს ძებნაშიო, შორიდანვე გვეძახდა.

თარიმანსა და შანკულას ნირი წაუხდათ, სახედაღრეჯილები მისჩერებოდნენ მათკენ მომავალ კოპწია კაცს.

— აი, მივაგენით ცულისა და გაზეთის პატრონს, — ახარა მათემ და შანკულაზე ანიშნა. — ცულიცა და ნაფოტებიც ემოწმებიან ერთმანეთსა და სათვალავიც ემთხვევა — თორმეტი ძირია.

— ამ კაცმა სამი ტონა ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს, — ისევ სცადა თარიმანმა გამოსარჩლება.

მირზა მასწავლებელს დამცინავი ღიმილი გაუკრთა ქვეიან სახეზე.

— მერე რა მოხდა, გაუყიდია, მუქთად ხომ არ გადაუყრია. სამაგიეროდ, აბა, გახედე, რამდენი მარგილი არჩვია. ახლოც რომ არ მივიდე, ისედაც ვხედავ, რომ ძვირფასი ჯიშის ხეებია დაჭრილი. ეს რომ წესიერი კაცი ყოფილიყო, რკინის ბოძებს შეუდგამდა ვენახს.

მათე მკარნახობდა, მე აქტს ვწერდი. წერას რომ მოვრჩი, ტყისმცველმა კიდევ ერთხელ სცადა, ლაპარაკით მაინც მოეოხებინა გული:

— ამის საქმე ისეა, ბებერი რომ ეკლესიაში შევიდა, შაურის სანთელი აანთო, თუმნისა კი დააშავა, — თქვა და ავი მზერა აჩხვლიტა შანკულას წინ გადმოგდებულ მუცელს, მერე თარიმანს მიუბრუნდა და მირზა მასწავლებელზე ანიშნა: — ამ კაცს რომ უყურებ, სასკოლო სატყეო რაზმის უფროსია და თანაც რაიონული საბჭოს დეპუტატი... ისე რომა, დამრჩი პუპლუზი. აქტში შენი ხსენება სულაც არ არი, შანკულას ხელის მოწერას კიდევა სულაც არა აქვს მნიშვნელობა. წავიდეთ, ბიჭებო.

მირზა მასწავლებელმა ხელი მოგვხვია და მანქანისაკენ წაგვიყვანა. მათე წინ მიდიოდა, მაგრამ დროდადრო უკან გაექცეოდა ხოლმე თვალი.

თარიმანი და შანკულა ქირიანი მამლებივით თავჩაქინდრულები იდგნენ და ქურდულად გამოსცქეროდნენ ჩვენს გზას.



მოსწავლის ყველაზე დიდი გმირობა ფრიადზე სწავლაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა მზა [illegible]

## ცოცხალი ციფრები

ავჭალის გზატკეცილიდან ანაპის ქუჩის აღმართს რომ აათავებთ, ლამაზი პანორამა გადაგეშლებათ თვალწინ. სიმწვანეში ჩაფლულა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დასახლება. შემოკლებით მას თემქას ეძახიან.

აქ ბევრი საშუალო სკოლაა. მოსწავლეთა ჟრიამული აცოცხლებს და ახალისებს გარემოს. დედაქალაქის ლენინის რაიონში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება 159-ე სკოლა, სადაც რუსულ და ქართულ სექტორზე ორი ათასამდე სხვადასხვა ეროვნების ბავშვი იზრდება.

სკოლის შენობაში ფეხს შედგამთ თუ არა, უმალვე მოგხიბლავთ გაკრიალებული საკლასო ოთახები, კაბინეტები, დერეფნები, ლამაზად გაფორმებული სტენდები. სუფევს საქმიანი ატმოსფერო. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამ სკოლაში პედაგოგების თავდადებული შრომით მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული სწავლებისა და აღზრდის საქმეში. ბევრი ჰყავთ ფრიადოსანი და კარგოსანი.

— საუკეთესო კლასებს შორის სანიმუშოდ რომელს დაგვისახელებდით? — ვეკითხებით სკოლის დირექტორს, მერი აზარაშვილს.

— დედას მუდამ უჭირს შვილების გამორჩევა, — ეღიმება პატივცემულ მერის, — მაგრამ ქართული სექტორის მეექვსე კლასი მაინც გამორჩეულია. კლასის ხელმძღვანელმა, ახალგაზრდა პედაგოგმა თამილა მორჩილაძემ შეძლო მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივის ორგანიზაცია, თუმცა სჯობს ამაზე თვითონ მას ესაუბროთ.

— ორმოცდახუთი მოსწავლე გვყავს კლასში. გასული სასწავლო წლის შედეგებით ცამეტი ფრიადოსანია და



ფიზიკის წრის წევრები ზ. კარკაძე, ფ. კერესელიძე, გ. ქველაძე, ზ. ჩოხელი, გ. გოგობერიშვილი საინტერესო ცდებს ატარებენ პედაგოგ გულიკო თოიძის ხელმძღვანელობით.

ოცი კარგოსანი, — სიამაყით მოგვითხრობს კლასის ხელმძღვანელი, — მშრალი სტატისტიკაა, არა?

— პირიქით, ძალიან ცოცხალი და მრავლისმეტყველი ციფრებია, რომელთა უკან მასწავლებლების დაუღალავი შრომა და რუდუნება დგას.

თამილა მასწავლებელს ღიმილი მოეფინა სახეზე.

მაგრამ უნებურად მაინც გვებადება კითხვა: როგორ მიაღწიეს ასეთ შედეგებს მოსწავლეებთან მუშაობაში?

# წარმატების საიდუმლო?

არავითარი საიდუმლო. სწორმა, მიზანმიმართულმა, დაუღალავმა მუშაობამ განაპირობა გამარჯვება. ცნობილია ასეთი გამოთქმა: ყველა გზა რომისკენ მიდისო. ფიგურალურად თუ ვიტყვით, სკოლაშიც ასეა, ყოველგვარი ღონისძიება და საქმიანობა მიმართულია სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ. სხვანაირად ამას სწავლებისადმი კომპლექსურ მიდგომასაც ეძახიან.

ამ კლასში ყველა მასწავლებელს უხარია შესვლა და განა მარტო მასწავლებლებს, წარმოიდგინეთ, სკოლის დარაჯსაც და დამლაგებელსაც კი.

— რა კარგი, რა მოწესრიგებული ბავშვები არიან, — გვითხრა დამლაგებელმა, რომელსაც საკლასო ოთახის კარებთან შევხვდით, — როგორ მეხმარებიან. მუდამ სუფთაა კლასი. ვერცერთ ბავშვს ვერ ნახავთ უქმად. ან წიგნი უჭირავთ ხელში, ან რაღაცას წერენ.

მართლაც, კლასში სწავლისადმი განწყობის პულსი მუდამ მაღალია. რომ იცოდეთ, როგორ აქტიურობენ გაკვეთილებზე, როგორ უნდათ, მასწავლებლის ერთი სიტყვაც არ დაიკარგოს. თვალებში შესციცინებენ.

მასწავლებლების მხრივ თავიდანვე გაუღიმათ ბავშვებს ბედმა. დაწყებითი კლასებიდანვე კ[illegible]ლები ჰყავდათ, მ[illegible] წამოიჩიტნენ.

დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი ამბობდა: მასწავლებლის ბაგეები მოსწავლეებს იმ წყაროდ უნდა მიაჩნდეთ, საიდანაც უხვად გადმოჩქეფს ცოდნის ნაკადიო. ასეთ წყაროდ მიაჩნიათ მეექვსეკლასელებს თ. მორჩილაძის, ნ. გეთიაშვილის, გ. თოიძის, მ. მხეიძის, ნ. თამაზაშვილის და სხვათა ბაგეები. მოზარდებს უყვართ თავიანთი მასწავლებლები, და სადაც ასეთი სიყვარულია, მიღწევებიც იქ არის.

მეექვსე კლასში ახალი სასწავლო საგნები შემოვიდა: ფიზიკა, ალგებრა და გეომეტრია. თავისთავად ყველა საგანი საინტერესო და მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარია, როგორ შეაყვარებ მას ბავშვებს. პირველი დაინტერესება პირველი ხნულის გავლებას უდრის.

— გაკვეთილისთვის მზადებისას ყოველთვის ვითვალისწინებ საგნის სპეციფიკას. ვეძებ ხერხს, რითაც მისაწვდომს, ადვილად გასაგებს გავხდი მოსწავლისთვის მოცემულ მასალას, — ამბობს მათემატიკის მასწავ-



ურთიერთდახმარების შტაბის წევრები მედეა შადური, ზურაბ წერეთელი, ზურაბ ჩხეტიანი გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებიან დავით ალდგომელაშვილს და თამაზ თოთლაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი თ. მორჩილაძე. მართლაც მან მოახერხა ბავშვებისათვის შეეყვარებინა რთული საგანი — ალგებრა.

რა შეედრება იმ სიხარულს, რომელსაც მოსწავლეები განიცდიან, როცა დამოუკიდებლად ამოხსნიან ამოცანას ან მაგალითს და სწორ პასუხს მიიღებენ. ამით აღმოჩენის ჭეშმარიტების მიგნების აღფრთოვანებას ეზიარებიან მოზარდები.

მათემატიკის მასწავლებელს შესანიშნავი ზოგადი განათლება აქვს. გაკვეთილზე ხშირად მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს მოიშველიებს ხოლმე. ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს საერთო მხატვრულ ლიტერატურასა და ალგებრას შორის? მაგრამ თურმე აქაც ყოფილა შეხების წერტილები.

— ბავშვებო, გურამ ფანჯიკიძის რომანში „თვალი პატიოსანი" გამოყვანილია მათემატიკაზე ფანატიკურად შეყვარებული პირი თამაზ იაშვილი. მის გონებაში თითქოსდა მშრალი მათემატიკური ციფრები და ფორმულები საოცარ არსებებად გარდაისახებიან. ხან დაფრინავენ, ხან ერთად ჩამორიგდებიან...

ასევე პითაგორის თეორემასთან დაკავშირებით ნახსენები იყო კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა". ამით მასწავლებელმა გააცხოველა მოზარდთა ინტერესი სხვა მიმართულებითაც.

რომელ საგანში იწერება ყველაზე მეტი ხუთიანიო, იკითხავს ზოგიერთი და მაშინვე დაუფიქრებლად უპასუხებს: რა თქმა უნდა, ჰუმანიტარულ საგნებშიო. თურმე ნუ იტყვით და ამ კლასში კი ყველაზე მეტი ხუთიანი და ოთხიანი მათემატიკაში დაწერილა.

თამილა მასწავლებელმა შესანიშნავად იცის ფსიქოლოგიური ჭეშმარიტება: „რაც უფრო მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით უფრო მეტია აღქმულის კვალი ჩვენს ცნობიერებაში". სწორედ ამიტომაა, რომ ის ეფექტიანად იყენებს გაკვეთილებზე თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს.

ცხადია, ასეთი გაკვეთილები უტყუარი გარანტიაა საერთო წარმატებისა, მაგრამ მას თუ კიდევ სხვა ღონისძიებებს შევაშველებთ, მაშინ?

# რაც თვალსაწიერს აფართოებს

სკოლისგარეშე და კლასგარეშე ღონისძიებები დიდად უწყობენ ხელს პროგრამული მასალის უფრო ღრმად ათვისებას, მოსწავლეთა აზროვნების, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას.

159-ე სკოლაში კლასგარეშე ღონისძიებებს ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი. მეექვსეკლასელებიც უხვად სარგებლობენ ამ სიკეთით. მუშაობენ საგნობრივი წრეები, ტარდება ვიქტორინები, ექსკურსიები.

საინტერესოდ მუშაობს მშობლიური ენისა და ლიტერატურის წრე, რომელსაც ახალგაზრდა პედაგოგი მანანა მხეიძე ხელმძღვანელობს.

წრის წევრთა ალბომში ნორჩების შემოქმედებაა წარმოდგენილი, უშვებენ კედლის გაზეთს, აქტიურად მონაწილეობენ პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ხუთჯიდი".

ასევე თავიანთი „კვლევის ობიექტები" აქვთ ისტორიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის წრის წევრებს.

მათემატიკის წრემ წლის განმავლობაში ორჯერ მოაწყო ვიქტორინა — „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში". რამდენი რამ წაიკითხეს, გაიგეს, ისწავლეს ვიქტორინისათვის მზადების პროცესში. შედეგი — მათემატიკური ვიქტორინა ჩატარდა საინტერესოდ, შთამბეჭდავად. მხიარულთა და საზრიანთა პაექრობა, შეჯიბრება მოსწრებულ კითხვა-პასუხებში, თავსატეხების სწრაფ ამოხსნებში, მუსიკალური ჩანართები ერთობ ემოციურს ხდიდა ვიქტორინას. მოსწავლეებით, პედაგოგებით, მოსწავლეთა მშობლებით გაჭედილ დარბაზს ესთეტიკური ტკბობა მიანიჭა ნორჩების ღონისძიებამ.



მშობლიური ენისა და ლიტერატურის წრის მეცადინეობას საინტერესოდ წარმართავს მასწავლებელი მანანა მხეიძე.

მაისის ბოლოს ექსკურსია მოაწყეს კახეთში. „გოგლაობას“ დაესწრნენ, იყვნენ თელავში, ნახეს ერეკლე მეფის სასახლე, მის წინ ცხენზე ამხედრებული მეფის ქანდაკება. დაათვალიერეს წინანდალი, სადაც ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის შორეული ეპიზოდები ღრმად ჩაიბეჭდეს მეხსიერებაში. იყვნენ იყალთოში, ალავერდში.

არასოდეს დაავიწყდებათ ამ ექსკურსიით მიღებული შთაბეჭდილებები.

## პატარა დისონანსი და ოპერატიულობა

არავინ იფიქროს, თითქოს ამ კლასში ერთხელ კარგად აწყობილი საქმე ინერციით მიედინებოდეს, არავითარი პრობლემა და საზრუნავი არ არსებობდეს. პირიქით — სირთულეები, წინააღმდეგობანი, მოულოდნელობები ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული, მაგრამ კლასის ხელმძღვანელი შეუნელებლად ადევნებს თვალ-ყურს კლასის ცხოვრების მაჯისცემას. ამდენად დროულად ხერხდება ყოველგვარი „ინცინდენტის“ აღმოფხვრა.

— სასწავლო წლის დასაწყისში სხვა სკოლიდან ჩვენთან გადმოვიდა ერთი ახალი მოსწავლე, — გვიამბო კლასის ხელმძღვანელმა. — გამოირკვა, რომ ის თურმე ეგრეთწოდებული „ძნელადაღსაზრდელი“ ყოფილა. მან მალე რამდენიმე კარგი მოსწავლე აიყოლია. აცდენდნენ გაკვეთილებს, აგვიანებდნენ, არ სწავლობდნენ.

მაგრამ კლასის პიონერულმა აქტივმა იყოჩაღა; საქმეში ჩავრიეთ დირექციაც, მშობელთა კომიტეტიც. ყველაფერი ვიღონეთ და ის მოსწავლე და მისი ამყოლები ისევ სწორ გზაზე დავაყენეთ.

— ამ მეექვსეკლასელებთან მუშაობა იოლიც არის და საინტერესოც, — გვითხრა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლენა კლევეტოვამ. — ე. გველესიანი და მ. კობახიძე, დ. კობეშავიძე და ქ. მიშველაძე, მ. კუპრავიშვილი და მ. ლიპარტელიანი, დ. ოშხერელი და გ. ქვლივიძე, მ. შადური და ხ. ჩიხლაძე, ზ. ჩხეტიანი და ა. ძულიაშვილი განა მარტო ფრიადოსნები არიან? ისინი გატაცებით მონაწილეობენ პიონერულ საქმიანობაში. მათი რაზმის საბჭოს ყურადღება ძირითადად მაინც კლასის აკადემიურ მოსწრებაზეა გადატანილი. ოპერატიულად, სიტუაციის შესატყვისად იწვევენ რაზმის შეკრებას, კოლექტიურ ზეგავლენას ახდენენ უდისციპლინოებსა და ზარმაცებზე.

— ერთხელ ჩემთან მოვიდნენ ფრიადოსანი მოსწავლეები: ნ. ჯანჯალაშვილი. ზ. ჩოხელი, დ. კობეშავიძე, დ. ოშხერელი და მითხრეს, ოჯახური პირობების გამო თამაზ თოთლაძე სწავლაში ჩამორჩება, დავეხმარებით მას, შინ მივაკითხავთ და ვამეცადინებთო. — გვიყვება კლასის დამრიგებელი. — ასე დაიბადა ახალი კეთილშობილური იდეა, საფუძველი ჩაეყარა მოძრაობას: „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!“

მართლაც, ამხანაგების დახმარებითა და თანადგომით თამაზი მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

უდისციპლინობა პირდაპირპროპორციულია აკადემიური მოსწრებისა — თუ დისციპლინა მოიკოჭლებს, ეს მაშინვე დაეტყობა ნიშნებს, ჟურნალში მოჭარბდება სამიანები, ორიანები.

ერთ პერიოდში საგნის მასწავლებელთა წუხილმა კლასის დამრიგებლის ყურამდე მიაღწია.

— კლასს ველარ ვცნობთ, ხმაურიანი გახდა. ზოგიერთებმა შეკამათებაც დაგვიწყეს, ჩვენს მოტყუებასაც ცდილობენ, — ჩიოდნენ ისინი.

თამილა მორჩილაძემ სასწრაფოდ მოიწვია კლასის კრება, გამოავლინა „ინცინდენტების ინიციატორები“ და თანატოლების მსჯელობის საგნად აქცია მათი საქციელი. არც ამას დასჯერდა, მშობელთა კრებაზე დედებთან ერთად მამებიც მოიწვია. იმსჯელეს, იკამათეს, დასახეს ღონისძიებანი, რამაც მოკლე ხანში სასიკეთო ნაყოფი გამოიღო.

კოლექტივი ისევ შედუღაბდა, ერთი სულისკვეთებით შეიკრა, ისევ აჩქეფდა საინტერესო ცხოვრება. სასიხარულო შედეგები, ახალი გამარჯვებები არ დააყოვნებს — ამას მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი თბილისის 159-ე საშუალო სკოლის მეექვსე კლასში ყველა გზა ხუთიანებისკენ მიდის.

**ბორის მიშველაძე**

ფოტო თ. ცაგარელისა



დაუზარებლად ეხმარებიან დამლაგებელ დეიდა ნასტიას მეექვსეკლასელი გოგო-ბიჭები.



# სულადი

ალბათ ბევრ თქვენგანს წაუკითხავს ან რადიოთი მაინც მოუსმენია ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის ნ. ლორთქიფანიძის პატარა მოთხრობა „ტრაგედია უგმიროდ“. რა შემზარავი, რა სულისშემძვრელი და შემაძრწუნებელი ნაწარმოებია! რა ცხადად, რა ხელშესახებად არის აქ დახატული ერთი ძველი, რევოლუციამდელი ქართული სოფლის მცხოვრებთა უკიდურესი გაჭირვება, უსახსრობა და უიმედობა...

მე აქ განგებ შევიკავებ თავს ხსენებული მოთხრობის მოყოლისაგან. საერთოდ, მხატვრული ნაწარმოები თავად უნდა წაიკითხო და განიცადო კაცმა. ისე, რა დაგიმალოთ და, ცოტა ეჭვი კი მეპარება: შეძლებთ კი ბოლომდე ჩაწვდეთ ამ მცირე მოთხრობაში გადმოცემულ შემზარავ ტრაგედიას; შეძლებთ კი მთელი არსებით შეიგრძნოთ იმ დამშეული პატარების ფიზიკური და სულიერი ტანჯვა, განიმსჭვალოთ მათდამი თანაგრძნობითა და თანალმობით...

თქვენ, საბჭოთა ეპოქაში მცხოვრებ ბედნიერ ბავშვებს, ხომ არასოდეს გამოგიცდიათ, რა არის ნამდვილი შიმშილი. თქვენ ხომ შიმშილი ისა გგონიათ, ხანდახან, რაიმე მიზეზით, სადილი რომ შეგიგვიანდებათ ხოლმე!..

ჰოდა, აკი ნათქვამია, — „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“...

იქნებ მოთხრობის მთავარმა პერსონაჟმა, იმ დამშეული ბავშვების უბედურმა, გაპირუტყვებულმა მამამ, რომელმაც ასე სულმოუთქმელად შესანსლა ბავშვებისათვის გასანაწილებელი ცხელ-ცხელი მჭადი და მერე თოკზე ჩამოეკიდა, თქვენში სიბრალულის მაგიერ მხოლოდ ზიზღი და სიძულვილი დაიმსახუროს... მაგრამ ასე იოლად ნუ გამოუტანთ მას განაჩენს. მან ხომ თვითონვე გაისამართლა თავი, როცა იმ ერთი მჭადით შიმშილისაგან სული მოითქვა და ადამიანური აზროვნების უნარი დაუბრუნდა. მაშინ კი, საკუთარ შვილებს პირიდან უკანასკნელ ლუკმას რომ აცლიდა, ის შიმშილისაგან გონდაკარგული პირუტყვი იყო. პირუტყვის მოქმედებას კი მხოლოდ ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ინსტიქტები წარმართავენ...

ასე გააპირუტყვა შიმშილმა ადამიანი. აი, რა შესძლებია ნამდვილ შიმშილს!

გავიხსენოთ დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები, მხატვრული და დოკუმენტური კინოფილმები. როგორ ჭირდა მტრისაგან ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში, როგორ ჭირდა ზურგში.

ჰკითხეთ თქვენს პაპებსა და ბებიებს, ჰკითხეთ თქვენს მშობლებს, ვისაც კარგად ახსოვთ ომისა და ომისშემდგომი გაჭირვების წლები, ჰკითხეთ და ისინი გეტყვიან, რომ მაშინ პურს და, საერთოდ, საკვებს სულ სხვა ფასი ედო. მაშინ თქვენმა ტოლებმაც დიდებულად იცოდნენ პურისა და ყოველგვარი საკვების ყადრი.

სიტყვამ მოიტანა და, ამას წინათ ასეთ სურათს შევესწარი: ერთ პატარა, ასე თორმეტიოდე წლის ბიჭუნას საფუნთუშედან ორი მრგვალად გამომცხვარი ფურნის პური მოჰქონდა აქეთ-იქეთ იღლიებში ამოჩრილი. აქეთ, მაღლივ კორპუსებს შორის მდებარე ფართო მოედანზე ბიჭებს მოეყარათ თავი. იმ პურებიანი ბიჭუნას გამოჩენა იყო და ატყდა ერთი ამბავი. რომელიღაც ლაზღანდარა ბიჭუნას უკან აედევნა, პურზე ხელი უკრა და გააგდებინა. პური გორვა-გორვით წავიდა, მტვრიან ასფალტზე წრე შემოხაზა და ზურგზე და-ცა. ეს რა კარგი გასართობი ვიმო-ვეთო, — იხუვლეს ბიჭებმა და პური ბურთად აქციეს, უთავაზეს და უთავაზეს წიხლები, იმდენი სდიეს, ვიდრე არ დააქუცმაცეს...

რომ ვთქვა, იმ ცალპურდაკარგულმა ბიჭუნამ ძალზე მტკივნეულად განიცადა ეს ამბავი და ღრიალით აიკლო იქაურობა-მეთქი, არ იქნებოდა მართალი. დიდი ამბავი, რაღაც ოცდაათკაპიკიანი ერთი კილოგრამი პური! ფული სახლში არ აკლიათ და პურით ხომ სავსეა მაღაზია! პირველად კი შეცბა და დაიბნა ბიჭუნა, მაგრამ მალე, როცა ის ბურთად ქცეული პური შემთხვევით მასთან მიგორდა, იმანაც უთავაზა ერთი, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამა, გამოუსვლელი ბოთე კი არ გეგონოთ, მეც ვიცი კაი ხუმრობის ფასიო!

მოდით, პურს ნ. ლორთქიფანიძის ზემოხსენებული მოთხრობის პერსონაჟების თვალით შევხედოთ, იმათი თვალით შევხედოთ, ვინც დღესაც შიმშილობს აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრ განვითარებად ქვეყანაში — აქ ხომ შიმშილობის ბასრი ცელი ყოველდღიურად ანადგურებს ადამიანებს, განსაკუთრებით კი — ბავშვებს.

რა დასამალია და, ჩვენში არამცთუ ბავშვებმა, უფროსთაგანაც ბევრმა დაივიწყა პურის ყადრი. აბა, ერთი საგანგებოდ დააკვირდით, რამდენი პური იყრება ჩვენი დიდი ქალაქის საცხოვრებელი კორპუსების სანაგვე ბუნკერებში! აქაოდა, გუშინ ნაყიდი პური ცოტათი გამოშრაო, პირს აღარ დააკარებენ, ახალგამომცხვარს იყიდიან, იმ დაწუნებულს კი სანაგვეზე გადაუძახებენ.

ასე ოხრდება აუარება პური ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის დიდსა თუ მცირე ქალაქებში. არადა, ხომ ცნობილია, რომ პურისადმი, სიცოცხლის ამ უპირველესი ელექსირისადმი, პატივი და თაყვანისცემა ოდითგანვე მოსდგამდა ქართველ კაცს. მიწაზე დაგდებულ პურს ყოველი ქართველი, დიდი თუ პატარა, მოწიწებით აიღებდა, ემთხვეოდა და სადმე მა-

ლალზე შემოდებდა. მიწაზე დავარდნილ პურს ფეხს არასოდეს დააბიჯებდა. თუ ვინმეს პურისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას შეატყობდნენ, იმას ერთ-ერთი უსასტიკესი წყევლა დაატყდებოდა თავს: პურის მადლი გავიწყრესო! დაძველებულ ხმელ პურს ოჯახი არასოდეს გადაყრიდა. წვნიან კერძში ჩაიმტვრევდნენ და შეექცეოდნენ.

გამოთქმაში „პური ჩვენი არსობისა" საუცხოოდ არის გამოხატული მოწიწებითი დამოკიდებულება პურის მიმართ. პური აქ ადამიანის არსებობისათვის ისეთივე აუცილებელ და უპირველეს პირობად არის ნაგულისხმევი, როგორც ჰაერი, წყალი, მზე, მიწა. შემთხვევითი როდია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ კუთხეში პურს „სულადს" ეძახიან. ესე იგი პური პირდაპირ ადამიანის სულთან, ანუ სიცოცხლესთან აქვთ გათანაბრებული. სიტყვა „ჭირნახული" ხომ ყოველი ჭირნახულის უპირველეს, სწორედ პურს გულისხმობს...

„ვაზო, შვილივით ნაზარდოო", — უთქვამს ქართველ კაცს. ასევე შვილივით გამოსაზრდელია პურის ყანაც. ვაზზე არანაკლები სიყვარულით უმღერია ქართველ კაცს პურის ყანისთვის. გავიხსენოთ „გუთნური", „კალოსპირული", „გლესავ და გლესავ, ნამგალო" და სხვა მრავალი...

პური ჯეჯილით იწყება, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ჯეჯილი ყვითლად მოღაღანე თავთავებდამძიმებულ ყანად იქცეს, რამდენმა დრომ უნდა ჩაიაროს! თავად განსაჯეთ. შემოდგომაზე დათესილმა და ამობიბინებულმა ჯეჯილმა მთელი ზამთარი თოვლქვეშ უნდა გამოიზამთროს, როგორც თბილი საბნის ქვეშ, უთოვლო ზამთარი კი მოყინვით ემუქრება ჯეჯილს. მერე, თუ მშვიდობით გამოიზამთრა, სეტყვა, გვალვა ან გაბმული კოკისპირული წვიმები ემუქრება ჯეჯილს, ცალკე სარეველა მოერევა და თუ დროზე არ უშველე და არ გამარგლე, დაჩაგრავს, დააუძლურებს. ახლა ამას თაგვებისა და სხვა მავნებლებისაგან მიყენებული ზარალიც დაუმატეთ...

მაგრამ აი, მოვიდა ივლისი, ანუ, როგორც ჩვენი ძველები იტყოდნენ, — „მკათათვე". მოვიდა მკათათვე და ზღვასავით ლივლივებს ყვითლად ჩამუქებული ყანა. გახედავ და გულს ჭირი გადაგეყრება.

და აჰა, შეესივნენ ყანას კომბაინები — მკიან, ლეწავენ და ანიავებენ... ცალკე არჩევენ ხორბალს. ცალკე მიდის ნალეწი ნარჩენები, ანუ ნამჯა — ოთხკუთხა ბლოკებად იწნეხება, მავთულით საიმედოდ იკვრება და ცვივა, როგორც საზამთროდ პირუტყვისათვის მომზადებული ნობათები. სუფთად გარჩეულ-გაცხრილული ოქროსფერი ხორბალი კი ჩანჩქერივით გადმოდის ბუნკერის მილიდან, გადმოდის და თანდათან ავსებს გვერდით მიმყოლი მანქანის ძარას.

უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ხორბლით დატვირთული მანქანები დამამზადებელი ელევატორებისაკენ...

მაგრამ პურის მოსავლის უდანაკარგოდ აღება ძალიან ბევრ რამეზეა დამოკიდებული. პურის მომყვანმა კაცმა კარგად უნდა იცოდეს მკისთვის ზუსტი დროის შერჩევა. კარგია, თუ მკის დაწყებამდე მწიფე ყანას ძლიერმა ქარებმა ან გაბმულმა წვიმებმა, ან, რაც უფრო უარესია, ორივემ ერთად არ უწია. თორემ, ხომ შეიძლება მთელი წლის ნაწვალებ-ნაჯაფარი, მზად მოსული ყანა სულ ათიოდე წუთში სეტყვამაც ჩარეგვოს!

ერთსა და იმავე ნაკვეთზე ყანა ყველგან ერთბაშად არ მწიფდება. თუ ყანა თუნდაც ოდნავ დაბორცვილ მინდორზეა მოსული, ხორბალი პირველად შემაღლებულ და მშრალ ადგილებზე შემოდის, ხოლო შედარებით ჩავარდნილ, დაბლობ ადგილებში — უფრო გვიან. ეგ კი არადა, თვით ერთსა და იმავე თავთავში ხორბალი ჯერ შუა ნაწილში მწიფდება, შემდეგ მაღლა, წვერში, და ბოლოს სულ ქვემო ნაწილში. ადრე მოგივა მკის დაწყება, — თავთავის მხოლოდ შუა ნაწილიდან მიიღებ ხორბალს, დააგვიანებ და — თავთავის შუა ნაწილში ყველაზე საუკეთესო ხარისხის ხორბალი გადამწიფდება და თავისით ჩამოცვივა.

აი, რატომ არის, რომ, ვიდრე მკის დაწყებას გადაწყვეტდნენ, ყანის მომყვანები, ისინი, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელი არიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებაზე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, აგრონომი თუ ბრიგადირი, ყოველდღიურად შედიან ყანაში, სინჯავენ, ამოწმებენ: წყვეტენ თავთავს, ხელისგულზე იფშვნეტენ, აკვირდებიან, მთლიანად არის შემოსული თუ არა.

ზემოთ ვთქვით, პური ჯეჯილით იწყებაო, მაგრამ ეს მთლად ასე როდია. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პური გუთნიდან იწყება...

დღეს საყანე მინდვრებში უმძლავრესი ტრაქტორები გუგუნებენ და გაუჭირვებლად ექაჩებიან რამდენიმესახნისიან გუთნეულს, რომელსაც ადრე ცხრაუღელა ხარ-კამეჩიც ვერ დაძრავდა.

ადრეო, რომ ვამბობ, მარტო შორეულ საუკუნეებს როდი ვგულისხმობ. ქართულ სოფლებს დღემდე შემორჩნენ ძველი გუთნისდედები და მეხრეები იმ თაობიდან, რომლისთვისაც ერთადერთი გამწევი ძალა ხარ-კამეჩი, ცხენი და სახედარი იყო.

დიახ, ჩვენი საუკუნე, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევარი, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, მაღალგანვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის ეპოქაა. ხარ-კამეჩი და გუთანი, ნამგლიანი ყანისმკელი და მეძნეური, კალო და კაჟისკბილება კევრი, წყლის წისქვილები და ძველი ქართული სოფლის დამახასიათებელი ბევრი სხვა ატრიბუტი ჩაბარდა წარსულს, მაგრამ ადამიანის გენიის რა დიდი და დაძაბული შემოქმედებითი შრომა იყო საჭირო, რათა შექმნილიყო ისეთი „ჭკვიანი" და ღონიერი მანქანები, როგორიც ტრაქტორი და კომბაინია! ახლა ერთი თანამედროვე ელევატორ-წისქვილები და პურის საცხობი ქარხნებიც ვნახოთ, რა რთულსა და შრომატევად საქმიანობას ასრულებენ აქ მოქმედი ავტომატური მანქანები და დაზგა-დანადგარები!

აი, კომბაინმა მომკა ყანა, გალეწა, გაანიავა... ასეულ მილიონობით ტონა ხორბალი ჩვენი დიადი სახელმ-

წიფოს ბეღლებში, ანუ ელევატორების სათავსოებშია დაბინავებული, მაგრამ ჯერ კიდევ რა დიდი გზა აქვს გასავლელი, ვიდრე ჩვენამდე გამომცხვარი პურის სახით მოაღწევდეს!

რკინიგზით, გზატკეცილებით, საჰაერო თუ სამდინარო-საზღვაო გზებით დღე და ღამ უწყვეტ ნაკადად მიედინება ჩვენი ქვეყნის დასახლებული პუნქტებისაკენ ყაზახეთში, უკრაინაში, კრასნოდარისა და რუსეთის სხვა მხარეებში მოწეული საბჭოური ხორბალი, და არა მარტო საბჭოური. რადგან ჯერჯეობით ჩვენს ქვეყანას კვლავ არ ყოფნის სამამულო წარმოების ხორბალი და იგი იძულებულია ნაწილი მარცვლეულისა საზღვარგარეთ შეისყიდოს, ხორბლის მწარმოებელი სხვა ქვეყნებისაგან.

ისე რომ, მთელი ჩვენი ქვეყანა მოფენილია დამამზადებელი (სახაზო), საწარმოო (წისქვილის) და გადამტვირთავი (ბაზისური, პორტის) ელევატორებით. ელევატორი მარცვლეულის შესანახი დიდი ნაგებობაა, რომელიც აღჭურვილია მარცვლეულის მისაღები, ასაწონი, გადასამუშავებელი (გასაშრობი, გასაწმენდი და ა. შ.) და გადმოსატვირთი მექანიზმებით. თანამედროვე ელევატორი 100-200 ათასი ტონა ტევადობის რკინა-ბეტონის ნაგებობაა. როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ტიპის ელევატორთაგან პირველი — დამამზადებელი, ანუ სახაზო, შენდება უშუალოდ პურის საყანე მინდვრების ახლოს, რათა მომკისთანავე შესაძლებელი იყოს ხორბლის დროული დაბინავება (დამზადება); საწარმოო, ანუ წისქვილიანი ელევატორები ძირითადად დასახლებულ პუნქტებში შენდება, ხოლო გადამტვირთავი (ბაზისური, პორტის) — უმთავრესად წყლისა და რკინიგზის მაგისტრალების გადაკვეთის ადგილებში და მდინარეების ნავმისადგომებთან ან საზღვაო ნავსადგურებთან. აქ ხდება მარცვლეულის დიდი პარტიების კონცენტრაცია, შენახვა, მისი კონდიცირება და გადატანა ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე.

თბილისისთანა დიდ ქალაქებში აშენებულია ძირითადად საწარმოო (წისქვილის) ელევატორები. ერთი ასეთი ელევატორი თბილისში, ნავთლუღის უბანში მდებარეობს. შემოტანილი ხორბალი აქ, ვიდრე სასილოსე კორპუსში (ხორბლის საცავ ბუნკერებში) ჩაიყრებოდეს, წინასწარ მოწმდება და ნესტიანობის შემთხვევაში ლენტიანი ტრანსპორტიორით იყრება საშრობ განყოფილებაში. გაშრობის შემდეგ ხორბალი გაივლის გამწმენდ სეპარატორებში, რის შემდეგაც გადადის სასილოსე კორპუსში.

დასაფქვავი ხორბალი სასილოსე კორპუსიდან ჰაერწნეხების საშუალებით წისქვილისაკენ მიემართება. აქ იგი კვლავ გაივლის წმენდას სეპარატორებზე, ტრიერებზე, ჯაგრისიან და ქვის გამომცლელ მანქანებზე, გაირეცხება, 12-16 საათს დაყოვნდება, რაც საჭიროა სათანადო კონდიციამდე მის გასაშრობად, და ამის შემდეგ იფქვება სპეციალურ დაზგებზე. აქვე ხდება ფქვილის გაცრა და დახარისხება. მიიღება უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ფქვილი, აგრეთვე — მანანის ბურღული და ქატო.

გამზადებული, დახარისხებული ფქვილი მიემართება ჩამომყრელ განყოფილებაში, იყრება ტომრებში და გადადის საწყობში, საიდანაც გაიცემა პურის საცხობ ქარხნებზე; აქვე ხდება ფქვილის დაფასოება მცირე ზომის ქაღალდის პარკებში. ასეთი პარკებით ფქვილი მაღაზიაში გააქვთ გასაყიდად.

ახლა ისევ პურის საცხობ ქარხნებში დავბრუნდეთ, სადაც ფქვილი უზარმაზარცისტერნიანი მანქანებით მოვიდა წისქვილიდან. ცისტერნებზე მიერთებული სპეციალური ჰაერწნეხების საშუალებით ფქვილი დიდ ფქვილსაცავ ბუნკერებში აიქაჩება, სადაც ხდება მისი დაყოვნება 8-10 დღეს. ამას პურის მცხობლები ფქვილის „მომწიფების“ პერიოდს უწოდებენ და ფქვილის ტექნოლოგიაში ერთ-ერთ აუცილებელ ფაზად მიიჩნევენ. „მომწიფების“ შემდეგ ფქვილი ბუნკერებიდან ისევ ჰაერწნეხების საშუალებით გადადის მაგნიტურ საცრებში, რადგან ადვილი შესაძლებელია მასში ლითონის რაიმე მინარევი აღმოჩნდეს; საიდანაო? საიდან და, წისქვილის საფქვავი მექანიზმები, ჰაერწნეხების მილები, ცისტერნები (ტრანსპორტირებისას), ფქვილსაცავი ბუნკერები — ყველაფერი ეს ხომ ლითონისაა; მართალია, ასეთი შემთხვევა პრაქტიკულად თითქმის გამორიცხულია, მაგრამ აკი ისიც ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო.

ლინა ბარათაშვილი

## ბალადა პურზე

პური ჩვენი არსობისა,
სიმტკიცე და მიწის მადლი,
მას პატივით მოექეცი
გია, დათო, თამრო, ლალი.

პური არის ქვეყნის ფესვი,
გვალაღებს და მადლით გვმოსავს,
ხშირად ხელში რომ ავიღებთ,
ვაკოცებთ და თანაც ვლოცავთ.

მაგრამ თუ დაგდებული
სადმე ულვთოდ ლუკმა პური,
მაშინ კვნესის უმოწყალოდ
ქვეყნის გამრჯე გლეხის გული.

განა ასე უხვად იყო
ქვეყნად პური ყოველ დილას?
მტერს დაუწვავს ხშირად წუთში,
მთელი წელი რაც კი გვიხნავს.

იყო ომი სამამულო,
ირგვლივ იდგა სევდის ბური,
საოცნებო იყო თურმე
ერთი ლუკმა თბილი პური.

პური — მიწის სუნთქვა არის,
გლეხის შუბლზე ოფლის ღვარი,
და რომ დიდზე დიდი მადლი
ჩვენში დღესაც პური არის.

ბიბინი აქვს ხოდაბუნებს,
მიწის მეზვრე შენ ხარ ხვალის,
პურს პატივით მოექეცი,
სულ გახსოვდეს შენი ვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცრილი ფქვილის ნაწილი პირდაპირ თხევადი ფაზის მოსამზადებელ აუზებში გადაინაცვლებს, სადაც მას ემატება წყალი, საფუარი და მარილხსნარი. ასე მიღებული თხევადი მასა 4 საათის დუღილის შემდეგ ცომსაზელი მანქანებისკენ მიედინება, აქ საჭირო დოზით ფქვილი ემატება, და ცომიც იზილება.

მიღებული ცომი დაახლოებით ერთ საათს ყოვნდება ცომგამყოფ (ცომსაჭრელ) მანქანებში, რათა კარგად გაფუვდეს, იქცეს ფოროვან მასად და მომწიფდეს გამოსაცხობად; შემდეგ თანაბარი ზომა-წონის ნაჭრებად იჭრება. ეს ნაჭრები სათანადო ფორმის თუჯის ტაფებში განლაგდება (ეს ბოლო ოპერაცია მთლიანად ხელით სრულდება) და გადადის საცხობ ღუმელში (თონეში), რომლის საერთო ტემპერატურა 200-240 გრადუსია, ისე რომ, თვით პურის გულში, სულ ცოტა, 120 გრადუსი მაინც აღწევს, რაც აუცილებელია პურის გულის კარგად გამოსაცხობად; ამასთან, ასეთ ტემპერატურაზე მთლიანად იხოცება ნებისმიერი ბაცილა, რომელიც კი შესაძლოა ცომში აღმოჩნდეს.

თონეგამოვლილ პურში ცხობის პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ იგი 80 გრადუსამდე არ გაგრილდება. მცირე დაყოვნებაც და პური უკვე მზად არის მაღაზიებში გასატანად. პურის ქარხნებში დღე და ღამე ერთი წუთითაც კი არ წყდება მუშაობა.

აი, რა შორი, რა ფათერაკებით სავსე, ძნელი გზა სდებია პურს სყანე მინდვრებიდან ჩვენს სუფრამდე!

რაც მთავარია, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ, მიუხედავად ზემოხსენებული მანქანებისა და დაზგა-დანადგარების გასაოცარი სრულყოფილებისა, ყოველ მათგანს მართავს და ემსახურება ადამიანი (ტრაქტორი, კომბაინი) ან ადამიანთა მთელი ჯგუფები (ელევატორი, წისქვილი, პურის ქარხანა...).

პატივი ვცეთ ამ ადამიანთა შრომას, გავუფრთხილდეთ საერთო სახალხო სიმდიდრეს — პურს!

**დურმიშხან გრიგოლაშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამული

... მე ვცხოვრობ შენი დიდი
წარსულით,
შენი დღითა და შენი ხვალეთი;
შენი ძე ვარ თუ შენი ასული,
შენი ნათელი მიდგას თვალებში.

მე ვცოცხლობ შენი დიდი სიკეთით,
ვარ ერთი სხივი შენი შუქისა,
მეც მინდა გქონდეს ჩემი იმედი —
შენი ახალი მზეჭაბუკისა.

მე ვიზრდები და მე ვემზადები
შენს სადიდებლად,
ხვალის საშენად;
ხარ ჩემი წმინდა გულის ნადები,
ჩემი ფრთები ხარ და აღმაფრენა!

მამულო,
მზეო ჩემო მაღალო,
დაე, მეც მერგოს შენთვის კირთება,
მკლავიც და გულიც შენთვის
დავღალო,
სიცოცხლეც დავთმო, თუ
დაგჭირდება.

## მწყემსი ბიჭი

ის მწყემსი ზეზვა ბიჭია,
ცხვარი რომ მთაში დაუდის,
როგორც ცას — ვარსკვლავს,
ცისია,
მის ფარას ცხვარს ვერ დაუთვლი.
დილის ნათელი ცისკრისას
სულ ოდნავ რაკი იალებს,
ფეხზე დგას,
თვალებგიზგიზა,
სალამურს ააწკრიალებს.
ფარას წამოშლის,
მიუძღვის
ვაცი დინჯი და ბებერი,
ისმის მთასა და ჭიუხში
ცხვრის ბღავილი და პეტელი.
— ჰე, ჰე, ჰე, ჰეიი, —
გასძახის
მთის ქედზე გაშლილ იალალს,
ფრინველის წკრიალ-ჭახჭახით
ივსება ზეცა კრიალა.
ციდან ქორი თუ ტოროლა
მწყემსის სალამურს მოსძახის;
გვერდს ძაღლი უწევს ბომბორა,
დიდგულა, შავი, ყოჩაღი!
იქვე, მუხლამდე ყვავილში,
ცხენიც დგას —
ჩიტი ქროლია,
ძუა-ფაფარს რომ აიშლის,
ზღაპრული რაში გგონია.
მხარზე თოფიც აქვს ზეზვასა
ჩახმახტკაცუნა, ორლულით.
— მგელი?
— ჰა, ჰაი, დედასა!
მგელი სამი ჰყავს მოკლული.
თავზე ფაფახი ახურავს,
ჭარობს ცხვარ-ბატკნის მატებით;
მალ იტყვის მამაპაპურად:
„ცხორს საით ელალატების!“
ის მწყემსი ზეზვა ბიჭია,
ცხვარი რომ მთაზე დაუდის,
როგორც ცას — ვარსკვლავს,
ცისია,
მის ფარას ცხვარს ვერ დაუთვლი.

## დაჯექ, მიმღერე, დედილო

დაჯექ, მიმღერე, დედილო,
ობოლი გოგოს ზღაპარი,
რაში რომ ცაში მიქროდა,
ქარს რომ მიჰქონდა ფაფარი
რაზე ჩიოდა ბედშავი,
ბედისგან გამორჩეული;
სად შეხვდა თეთრი ფერია,
გულკეთილი და გრძნეული?
ნეტავ, ვის შერჩა წიქარას
ტკბილ-ჯადო სალამურები;
შინ თუ დაბრუნდნენ აღზევანს
გასტუმრებული ურმები...
სად მიდის თეთრი ბილიკი
ციცაბოდ მიმოხლართული...
დაჯექ, მიმღერე, დედილო,
შენი ლამაზი ქართულით.

**საუბარი ნინო ქვანიასთან**

**პიონერთა ორგანიზაციის 60 წლისთავის შესახვედრად**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის — ნინო ქვანიას სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა თაობის ადამიანებისათვის. სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი — კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი 1939 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს. იგი 1948 წლამდე წინამძღოლობდა რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობასა და პიონერულ ორგანიზაციას, შემდეგში კი, სხვადასხვა დროს, იყო პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა პოსტებზე. მაგრამ ჩვენ, ვინც მოსწავლე-ახალგაზრდობის, პიონერების საქმეს ვემსახურებოდით მაშინაც და ახლაც, კვლავაც გვეგულება ნინო ქვანია ახალგაზრდობის, პიონერების მზრუნველად, ქომაგად და გულშემატკივრად. და ამის საფუძველიც გვაქვს. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ის ერთობ დიდხანს იყო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და მისმა მოღვაწეობამ გარკვეული კვალი დატოვა; მეორეც, ამ პოსტიდან წასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია კავშირი ახალგაზრდობასთან, პიონერებთან და როგორც შეუძლია, რითაც შეუძლია, მუდამ ეხმარება მათ. იშვიათია ჩვენი ახალგაზრდობისა თუ პიონერთა თავყრილობა, რომ ნინო ქვანია არ დაესწროს და სიტყვით არ გამოვიდეს. იგი თბილისის პიონერთა საქალაქო საბჭოს საპატიო თავმჯდომარე და პიონერული მოძრაობის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს წევრია.

ნინო ქვანიას არ შეუძლია გულდამშვიდებულად ილაპარაკოს, როცა ნაკლოვანებებს ხედავს, როცა საკითხი ახალგაზრდობას, ახალგაზრდობის პრობლემებს ეხება. გულგრილობასა და თვითდამშვიდებას ვერ იტანს, თვითონ კი გულისხმიერი და ყურადღებიანია.

ვიდრე შევხვდებოდეთ და გავესაუბრებოდეთ მას, მინდა მასთან ურთიერთობის ორი ეპიზოდი გავიხსენო:

1947 წელი იდგა. მაშინ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორის მოადგილე ვიყავი და რედაქტორის შვებულებაში წასვლის გამო გაზეთს მე ვამზადებდი. ერთ დილით ნინო ქვანია მირეკავს. გაცხარებულია და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით მეუბნება:

— რა არის, ბიჭო, ერთი პატარა საქმე ვერ უნდა განდოს კაცმა?! —

— რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა! ხელთა გაქვს დღევანდელი შენი გაზეთი?

— ხელთა მაქვს, — ვუთხარი და უცებ თვალი გადავავლე გაზეთის პირველ გვერდს. ცხადია, რაიმე შეცდომაა, ტყუილუბრალოდ არ დარეკავდა.

— პირველ გვერდზე ინფორმაციაში ჯერ გააუქმე პიონერული შტაბები, მერე ისევ აღადგინე?

საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით პიონერულ რაზმებსა და რაზმეულებში გაუქმდა ომის დროს შემოღებული შტაბები და მათ ნაცვლად ისევ საბჭოები შეიქმნა. პირველ აბზაცში ამაზე ვწერდი, მეორე აბზაცში განმასხვავებელ ნიშნებს რომ ვეხებოდი, საბჭოს მაგივრად ისევ შტაბი მქონდა ნახსენები.

ნინო ქვანია აღელვებული მელაპარაკებოდა, მე კი გატრუნული ვუსმენდი. სათქმელი არაფერი მქონდა. ხმას არ ვიღებდი, მკითხა:

— ბიჭო, მისმენ?

— კი, გისმენთ. — ეს სიტყვები, ალბათ, ისეთი ტონით წარმოვთქვი, რომ ნინო ქვანიამ უცებ დამიყვავა:

— ბიჭო, გულთან კი არ მიიტანო ეს ამბავი, ისეთი არაფერი მომხდარა, ქვეყანა არ დაქცეულა. ნახევარი თბილისი ვერ გაიგებს. მომავალ ნომერში მიეცი გასწორება, — მირჩია და დაუმატა, — მომწონს შენი გამოშვებული ბოლო ნომრები, კარგი მასალებია, ყოჩაღ. ასე განაგრძე. — მერე გამომკითხა მომავლის გეგმები, წარმატება მისურვა და გამომემშვიდობა.

გაოგნებული დავრჩი. ველარ გავარკვიე, საყვედური მივიღე, თუ მადლობა? ის კია, რომ შეცდომით გამოწვეული წყენა ცოტა გამინელდა, გულს მომეშვა.

მეორე ეპიზოდი:

ესეც იმ წელიწადს მოხდა. მაშინ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს პიონერთა ბანაკი ჰქონდა ქობულეთში. ერთი ჩვენი ნორჩი კორესპონდენტის დედამ, რომელსაც მეუღლე ფრონტზე დაღუპვოდა, მთხოვა, მისი ორი ბავშვისათვის ქობულეთის ბანაკის საგზურების შოვნაში დავხმარებოდი, ვიცოდი, საგზურები უკვე განაწილებული იყო, მაგრამ მაინც წავედი ცეკაში. ნინო ქვანიამ მომისმინა და გაწყრა:

— აქამდე სად იყავით, გეძინათ?! სად გავაჩინო ახლა საგზურები?

შევცბუნდი და მისი დამშვიდება ვცადე:

— არაფერია, ამხანაგო ნინო, უარს ვეტყვი, რა მოხდა, — მივმართე და წასასვლელად წამოვდექი.

ნინო ქვანია ჩემს სიტყვებზე კიდევ უფრო გაცხარდა.

— ბიჭო, ვის ეტყვი უარს, გაუბედურებულ ქალს?! ამ სიცხეში ბავშვები თბილისში დაახრჩოს? რა იოლად წყვეტთ ადამიანის ბედს! დაჯექი! — მიბრძანა და ტელეფონის ყურმილს წამოავლო ხელი. თავისივე განყოფილებაში დაელაპარაკა ვილაცას, ორი საგზური მოსთხოვა. ის „ვილაცა“ კარგა ხანს ელაპარაკა, ნინომ უსმინა, მერე კი თავისებუ-



კ. მარქ... სახ. საქ. სსრ
სახ... ვო რესპუ...

რად დაუცაცხანა: — ნუ გამიბი ახლა ლაილაი. ეგ ორი საგზური მე მომეცი. მაგ ბავშვებს მამა თავზე ადგიათ, სოფელიც აქვთ, არ გაუჭირდებათ, — მერე მე მომიბრუნდა, — მოვიდეს ხვალ ის ქალი ჩემთან, — მითხრა და ქალის გვარი და სახელი ჩაიწერა.

ამ ორ ეპიზოდში კარგად ჩანს ნინო ჟვანიას ხასიათი. მისი პრინციპულობა და გულისხმიერება, მომთხოვნელობაც და ჰუმანურობაც.

ნინო ქვანიას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული — ორი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენები. მაგრამ მის ჯილდოებში „წითელი ვარსკვლავის" ორდენს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რატომ? ამ ორდენს ხომ საბრძოლო დამსახურებისათვის აძლევენ. ნინო ქვანია კი ფრონტზე არა ყოფილა. მაგრამ ომის წლებში რესპუბლიკის ახალგაზრდობის სათავეში ყოფნა სწორედ რომ საბრძოლო დავალება იყო, ფრონტიც და ზურგიც ერთნაირად საზრუნავი ჰქონდათ კომკავშირსა და მის წინამძღოლებს. ამიტომ, ომისდროინდელ პიონერებზე რომ დამჭირდა მასალის მომზადება, ნინო ქვანიას მივაკითხე:

— პატივცემულო ნინო, ვიდრე თქვენთან მოვიდოდი, გადავათვალიერე ომისწინა პერიოდის „ნორჩი ლენინელის" ფურცლები, გავეცანი ომისდროინდელ სხვა გაზეთებს. ახალ. 1941 წლის ჩვეულებრივი საახალწლო ზეიმით შეეგება საბჭოთა ხალხი, თუმცა უკვე იგრძნობოდა მოახლოებული ომის საშიშროება. მაშინ ევროპაში ომი მძვინვარებდა, საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია კი ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მოკლე დროში განემტკიცებინათ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და სამხედრო ძლიერება. მოსწავლე ახალგაზრდობა და პიონერებიც არ იყვნენ გულდამშვიდებული. აი, რას ვკითხულობთ გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ერთ-ერთ ნომერში.

„პიონერებსა და მოსწავლეებს არ შეუძლიათ განზე იდგნენ საერთო საქმიდან ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების განმტკიცების დარგში, თითოეული პიონერი, თითოეული მოსწავლე მოვალეა, ემზადებოდეს საბჭოთა კავშირის დაცვისათვის, მოვალეა, განავითაროს თავისი ძალა, სიმარჯვე, გაბედულება, სიმამაცე. მოვალეა, იცოდეს სამხედრო საქმე, რომ წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს ღირსეული მეომარი იყოს. საკავშირო კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ, რსფსრ განსახკომმა. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 1941 წელს ჩაატარონ პიონერთა და მოსწავლეთა სრულიად საკავშირო „სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება".

**ნინო ჟვანია:** მაგონდება, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა შეჯიბრების რესპუბლიკური შტაბი. სკოლებშიც ჩამოყალიბდა სასკოლო შეჯიბრებების შტაბები. შეიქმნა წრეები, სადაც პიონერ-მოსწავლეები ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს — სროლას, აირწინაღის ხმარებას, პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და სხვა. გაზეთ „პიონერსკაია პრავდაში" გამოქვეყნდა სამხედრო თამაშის „იერიშის" შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა სკოლა ჩაება სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრებისათვის მზადებაში. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის დეკემბერში, ამასთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილება მიიღო. მიუხედავად დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობისა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არაფერს იშურებდნენ ბავშვებისათვის. მათი ბედნიერი, უზრუნველი ცხოვრებისათვის! ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ომის წლებში თბილისის პიონერთა სასახლის გახსნა. მეფისნაცვლის ყოფილი სასახლე, სადაც შემდგომში საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იყო მოთავსებული, თბილისელ პიონერებს გადაეცათ. მის კეთილმოსაწყობად მთავრობამ 1.500.000 მანეთი გაიღო. 1941 წლის 2 მაისს სასახლე საზეიმოდ გაიხსნა.

— პიონერთა სასახლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგები, მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების ოსტატები, კომკავშირული და პიონერული მუშაკები. ამ საზეიმო საღამოს თქვენ თავმჯდომარეობდით.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული მრავალი მშვიდობისმოყვარე ღონისძიების მიუხედავად, ომი მაინც დაიწყო, — ფაშისტური გერმანია ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა ქვეყანასა და ჩვენს ბავშვებს წაართვა საზაფხულო არდადეგების მხიარული დღეები.

**ნინო ჟვანია:** დიახ, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს იგრძნობოდა მოახლოებული ომის საფრთხე, იგი მაინც მოულოდნელად მოვიდა. არავინ ფიქრობდა, რომ ზაფხულის იმ მშვიდობიან დილას დაირღვეოდა ჩვენი ბავშვების უზრუნველი, უშფოთველი ცხოვრება.

დიდმა სამამულო ომმა პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებაში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა. მან გავლენა იქონია რაზმისა და რაზმეულის მუშაობის შინაარსზე, ნაწილობრივ შეიცვალა პიონერული თვითმმართველობის სისტემა. პიონერული აქტივისათვის, რომელსაც ახლა კი არ ირჩევდნენ, არამედ ნიშნავდნენ, დაწესდა განმასხვავებელი ნიშნები. რაზმეულისა და რაზმის საბჭოები შტაბებად იქცნენ. პიონერული სამკერდე ნიშანიც კი წითელარმიულ ვარსკვლავს დაემსგავსა, რომელსაც პიონერები თვითონვე ამზადებდნენ, რადგან მრეწველობა მას არ უშვებდა.

საზეიმო ფიცივით ისმოდა ომის წლების პიონერის დაპირება:

„გპირდებით, ვიყო დისციპლინირებული, პატიოსანი, შრომისმოყვარე. მთელი გულით მძულს ფაშისტი დამპყრობლები და ჩვენი ბედნიერებისათვის დაღუპულ მებრძოლთა სახელს ვფიცავ, დაუღალავად მოვემზადები სამშობლოს დასაცავად. მა-

რად მეხსომება, რომ მათი სისხლი ელვარებს ჩვენს პიონერულ ყელსახვევსა და წითელ დროშაზე“.

დიდი სამამულო ომის წლებში პიონერული ორგანიზაციის მთელი მუშაობა საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ამოცანებს ემორჩილებოდა.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა თემურელთა მოძრაობა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ არკადი გაიდარის ცნობილი მოთხრობა „თემური და მისი რაზმი“ ომის წინ გამოქვეყნდა. პიონერებმა მაშინვე შეიყვარეს მისი მთავარი გმირი თემური. ომის წლებში და შემდეგაც თითქმის ყველა სკოლაში მოქმედებდა თემურელთა რაზმები. თემურელები არა მარტო ფრონტზე წასულთა ოჯახებს ეხმარებოდნენ, ისინი ჰოსპიტლებსაც შეფობდნენ, ზრუნავდნენ დაჭრილებზე, თავიანთი გულის სითბოს უნაწილებდნენ მათ.

განსაკუთრებული სიყვარულით ხვდებოდნენ პიონერები ლტოლვილთა ოჯახებს, თავიანთ თანატოლებს გამოზომილ ულუფას უწილადებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ მალე დაევიწყებინათ მათთვის გამოვლილი დღეების საშინელება.

მახსოვს, როგორ განიცდიდნენ ქართველი ბავშვები მოძმე აფხაზი თანატოლების ბედს. 1942 წლის ზაფხულში მტერი ხომ საქართველოს საზღვრებს მოადგა, სანჭაროს უღელტეხილით აფხაზეთის ტერიტორიაზეც შემოიჭრა და სოფელი ფსხუ დაიკავა. იმ ხანებში სწორედ სოხუმში ვიყავი მივლინებული და მოწმე გავხდი, როგორ დაეცა ბომბი კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობას. ბედად არავინ დაშავებულა. აპარატის მუშაკები, ყველანი, როგორც იტყვიან, „ფრონტზე“ იყვნენ, კაბინეტში დასაჯდომად ვის ეცალა.

— პატივცემულო ნინო, 1941 წლის 28 ივნისს თბილისის საბავშვო რკინიგზის ნორჩი რკინიგზელები წერდნენ:

„თბილისის საბავშვო რკინიგზის ნორჩი რკინიგზელები აღგვაშფოთა ჩვენი სამშობლოს წმინდათა წმინდა მიწაზე ჰიტლერელთა ურდოს მხეცურმა თავდასხმამ. ჩვენი მამები და უფროსი ძმები ფრონტზე წავიდნენ ვერაგ მტერთან საბრძოლველად. ვიცით, რომ რკინიგზის სამსახურს მუშახელი დააკლდა. გვინდა, ნორჩი რკინიგზელები მთელი ჩვენი შესაძლებლობით ვემსახუროთ სამშობლოს. ნორჩმა მემანქანეებმა კარგად შევისწავლეთ ორთქლმავალი და დავეუფლეთ მისი მართვის ტექნიკას. ასევე კარგად იციან თავისი საქმე ნორჩმა მელიანდაგეებმა, ამიტომ გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი სურვილი და გაგვაგზავნოთ რკინიგზაზე სამუშაოდ“.

**ნინო ჟვანია:** რა თქმა უნდა, ნორჩი რკინიგზელები რკინიგზაზე სამუშაოდ არ გაუგზავნიათ, მაგრამ სამამულო ომის დღეებში მათ დიდი მუშაობა გასწიეს. პიონერებმა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დავალებით ცხენოსანი ნაწილებისათვის თავიანთ სახელოსნოში 10.000 ნალი დაამზადეს. სამუშაოსათვის ნორჩ რკინიგზელებს 10.000 მანეთი გადმოურიცხეს, მათ კი ეს ფული ჯავშნიანი მატარებლის ასაგებად მოსკოვში უმაღლესი მხედართმთავრის სახელზე გაგზავნეს. რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისის საბავშვო რკინიგზაზე ი. ბ. სტალინის სამადლობელი დეპეშა მოვიდა.

1942 წლის 12 აპრილს გაიმართა საქართველოს პიონერთა და მოსწავლეთა აქტივის კრება, რომელმაც კოლექტიური წერილი გაუგზავნა გმირი ქალაქის — სევასტოპოლის ბავშვებს. ისინი წერდნენ, რომ გმირი პარტიზანი გოგონას — ზოია კოსმოდემიანსკაიას ხსოვნის ნიშნად და მისი სახელობის ტანკის ასაგებად უკვე შეაგროვეს რამდენიმე ათეული ათასი მანეთი.

გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული უკრაინის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისა და ბავშვებისათვის გაიგზავნა ორი ვაგონი ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ამ საჩუქრების შეგროვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ლანჩხუთელმა პიონერებმა და მოსწავლეებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დაწყებიდან ერთი წლის მანძილზე საქართველოს ასი ათასმა პიონერმა მიიღო მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და მილიონნახევარი შრომადღე გამოიმუშავა.

ერთი მრავალთაგანი იყო ქობულეთის რაიონის სოფელ ზენითის რვაწლიანი სკოლის პიონერი, მეშვიდე კლასის მოსწავლე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ასმათ ბაუჟაძე.

ომი რომ დაიწყო, ასმათი ახალი მიღებული იყო პიონერთა რიგებში. სოფლის 42 ვაჟკაცი ფრონტზე წავიდა, ისინი ქალებმა და ბავშვებმა შეცვალეს. პატარა ასმათიც მათ შორის იყო, ჩაის კრეფდა, საღამოობით ქალებს ფრონტზე გასაგზავნი წინდებისა და ხელთათმანების ქსოვაში ეხმარებოდა. რომ წამოიზარდა, ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა მოსავლელად, კარგად მოუარა და 6.200 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა სახელმწიფოს. ასეთი წარმატებებისათვის, კოლმეურნეობის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად, მეშვიდეკლასელი პიონერი ასმათ ბაუჟაძე ლენინის ორდენით დააჯილდოეს.

არ შეიძლება, არ გავიხსენო გორელი პიონერი ლეილა კიკნაძე, რომელმაც თავისი დანაზოგი ფული უმაღლეს მთავარსარდალს გაუგზავნა სატანკო კოლონა „ნორჩი პიონერის“ ასაგებად, ი. ბ. სტალინის სამადლობელი წერილი ლეილასადმი გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა.

ფრონტზეც იბრძოდნენ ჩვენი ბავშვები, მათ შორის პიონერები — ნოდარ ჩხარტიშვილი, ევგენი ტოპრაკაშვილი და ვახტანგ ქანთარია.

მათი სახელები დავიწყებას არ უნდა მიეცეს. დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ბავშვებმა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების საქმეში, ბევრმა მათგანმა სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თავი დადო, რომ დღევანდელ პატარებს ბედნიერი ცხოვრება ჰქონოდათ.

სამარადისო დიდება მათ ხსოვნას!

**ვანო ცერცვაძე,**

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი.



# რისთვის ჰქვია სოფელს ვარდისუბანი?

ნაზო ანდრონიკაშვილი

ნახატები ავტორისა

ძველადაც ყოფილა კახეთში მოუსავლიანი სოფლების მოსარწყავად ალაზნის სარწყავი არხი გაყვანილი. მისი კვალი ალაგ-ალაგ დღესაც შეიმჩნევა. არხი სოფელ ალვანთან იწყებოდა, მდინარის მარჯვენა მხარის სოფლებში იშლებოდა და „არხილოსკალოს“ მთასთან ისევ უერთდებოდა მშობელ მდინარეს — ალაზანს.

ამ არხის გაყვანა თამარ მეფეს უბრძანებია.

ერთხელ თურმე თამარ მეფე, მცირე ამალით ალაზნის არხის მშენებლობის მოსახილველად წასული, უკან ბრუნდებოდა. სიცხით გადაბუგულ მინდვრებზე მოდიოდნენ, ცხენების ფეხქვეშ გა[illegible]ლახი იფხვნებოდა და მ[illegible]მიწას უერთდებოდა.

გარჯილობა შეუქო არხზე მომუშავეთ ქვეყნის მოამაგე მეფე-ქალმა, ტკბილი სიტყვით წაახალისა და ახლა ნახულით კმაყოფილი ფიქრობდა:

— მალე ალაზნის წყალი მკურნალად მოევლინება, გამოაცოცხლებს და ბარაქას შემატებს ამ სოფლებს.

მინდვრები რომ მოილიეს და სოფელში შევიდნენ, ცხელმა ნიავმა ცეცხლისა და ბოლის სუნი შემოაგებათ: შუა სოფელში ხანძარი გაჩენილიყო, ცეცხლგარეული კვამლის ბოლქვები შერეოდა ისედაც სიცხის ბუღით ჩამოღვენთილ ზეცას. უბედურების მაუწყებლად გუგუნებდა სოფლის ეკლესიის ზარი, ხალხის ხმაურში გამორჩევით გაისმოდა ქალის გაბმული კივილი.

თამარმა გეზი შეიცვალა. ამალამაც ცხენები ხანძრისკენ გააბრუნა... მალე მიადგნენ ცეცხლში გახვეულ ფიცრულ სახლს. დამშრალ ხევში ისე ცოტა წყალი მოწანწკარებდა, დასალევად ძლივს ყოფნიდა სოფელს. მაინც ეზიდებოდნენ აქედან წყალს და ხელიდან ხელში გადასცემდნენ ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ რას გასწვდებოდა თულუხჩებითა და კოკებით მიშველებული წყალი იმ ხანძარს! ცეცხლი თითქოს დასცინოდა სოფლელთა უნიათობას, ერთ ადგილას რომ ჩაქრებოდა, სხვაგან უფრო მეტი სიძლიერით აბურბურდებოდა და სახლს ჩაქცევით ემუქრებოდა. იქვე ძლივს აკავებდნენ სახეშეშლილ ქალს: „მიშველეთ, მომეხმარეთ, ბავშვი დამრჩა აკვანში ჩაკრულიო“, — გაჰკიოდა, თმებსა და სახეს იგლეჯდა და ცეცხლმოკიდებული სახლისკენ იწევდა. ქალს ორისამი წლის ბიჭი ჩასჭიდებოდა კალთაზე და დედის შემყურე ისიც გაბმით ღრიალებდა. ხალხი უიმედოდ ფუსფუსებდა, ფიცრის კედლები ერთბაშად აბრიალებულიყო და შიგ შესვლას ვერავინ ბედავდა.

გადმობრძანდა თამარ მეფე ცხენიდან, ალმოდებული სახლისაკენ გაემართა.

— რა გადაგიწყვეტია? — წინ გადაუდგა პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

— იქ ბავშვია, — წარმოსთქვა მეფემ, მიმოიხედა და შეათვალიერა ბრძანების შესასრულებლად მზადმყოფი მოყმენი.

— გვიბრძანე, ღვთის სწორო, — ერთდროულად წარსდგნენ თამარის წინ მეფის მცველი სვანი გოლიათები და ალაზნისპირელი ჭაბუკები. და-

სტურს აღარ დაელოდნენ, შევარდნენ ცეცხლმოკიდებულ სახლში და შიგ დატრიალებულ კვამლსა და ცეცხლში შთაინთქნენ.

მეფის ამალიდან სხვა ვაჟკაცებიც ხალხს შეერივნენ. თვით თამარი ხანძართან ახლოს ტრიალებდა, საზრიანად აძლევდა განკარგულებებს, თან შავად ხახადაღებული სახლის კარს თვალს არ აშორებდა. აქამდე იმედდაკარგული ხალხი, ახლა უკვე მეფისა და დიდებულების თანადგომით გამხნევებული, მეტი მონდომებით შეუდგა ცეცხლთან ბრძოლას.

დრო გადიოდა. ხანძარი ავდებოდა. სახლის თავზე ცეცხლი გუგუნებდა, ნამწვსა და ნავლს ჰაერში ისროდა.

და აი, ხანძრის სიღრმეში გამოჩნდნენ თამარის ერთგული ვაჟკაცები. ისინი ცეცხლმოკიდებულ საგნებს განზე ისროდნენ, აგერ-აგერ ჩამოსანგრევ ფიცრებს თუ სახურავის ვეებერთელა კოჭებს ხელებით იჭერდნენ, მხრებს აშველებდნენ, ზურგით ამაგრებდნენ, რომ ამ ცეცხლის კორიანტელიდან უვნებლად გამოეყვანათ ჩვილი.

უცებ ყველას სიხარულის გმინვა აღმოხდა. ცეცხლის თალარში ჩვილ ბავშვატატებული, ახოვანი ვაჟკაცი გამოჩნდა. მოდიოდა ფრთხილად, ნაბიჯს ნაბიჯზე მოადგამდა და როდესაც გამოინაპირა, ატირებული ბავშვი კარებშივე შეგებებულ მეფეს გადასცა. თამარმა ბავშვი გულზე მიიკრა, ჩვილიც თითქოს მიხვდა მზრუნველი გულის ძგერასო — გაინაბა, გაყუჩდა.

— დღეგრძელი იყოს ჩვენი ღვთაება, ჩვენი პირიმზე, მეფე თამარი!.. — ერთხმად ღაღადებდა ხალხი.

იდგა პირიმზე სამშვიდობოს, ბავშვით ხელში, ზრუნვისა და სიკეთის ღიმილით გაცისკროვნებული. იდგა და ბავშვის დედას თვალით ეძებდა. ბავშვის დედამ დაინახა რა იმ საბედისწერო სახლიდან მშვიდობით გამოყვანილი, მეფის გულზე სათუთად მიხუტებული შვილი, მიეახლა მას, და მუხლმოკვეთილი მის ფეხთით ჩაიკეცა.

— რად დაგიტოვებია კერა უყურადღებოდ? — ცოტა არ იყოს, მკაცრად ჰკითხა თამარმა ბავშვის დედას, მაგრამ რა შეხედა დედის განაწამებ, ცრემლგამშრალ სახეს, ფეხზე წამოაყენა, ბავშვი გადასცა და სიტყვა შეარბილა:

— არ უნდა დაგეტოვებინა უპატრონოდ ყმაწვილები.

ქალმა ორივე ბავშვი გულში ჩაიკრა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეჰბედა პასუხი:

— ამათი მამა, ღვთის სწორო, ალაზნის არხის გათხრაზე მუშაობს. ჟამით-ჟამს სანახავად მივდივარ, საჭმელი მიმაქვს. დილასაც მეზობელს შევძახე, მიეხედა მძინარე ბალღებისათვის და გზას დავადექი... ვფიქრობდი, საჭმელს ჩავუტანდი კაცსა და მალევე სიგრილით დავბრუნდებოდი... იქ ლაპარაკს შევყევ, სახლს მონატრებულ მეზობლის კაცებს სოფლის ამბები მოვუყევი, შინაურების დანაბარები გადავეცი და ცოტა შემიგვიანდა. დავბრუნდი და, შორიდანვე შევამჩნიე ჩემი უბედურება... ელდანაცემი შევვარდი სახლში, ბოლში ბალღები არ ჩანდნენ, მხოლოდ ტირილი მესმოდა. ორივეს ერთად ვერ გამოვიყვანდი... ერთი რომ გამოვარიდე ცეცხლს, უკან ვეღარ შევბრუნდი, ცეცხლმა გზა შემიკრა... მეორე აკვანში დარჩა ჩაკრული...

—ვბრძანებ! — მარჯვენა ხელი ზე ასწია მეფე თამარმა, — ვიდრე ალაზნის არხის გაყვანა დამთავრდებოდეს, იქ მომუშავეთ საერთო ტაბლა მიეცეთ მეფის საჭურჭლიდან, რომ შინ დარჩენილთ მათზე ზრუნვა არ აწუხებდეთ.

გადახედა ტანსაცმელშემომწვარ, ერთნაირად შებოლილსა და ცეცხლისაგან ხელებდათუთქულ ვაჟკაცებს და ბრძანება განაგრძო: — ჩემმა რაინდებმა ცეცხლში გზა უვნებელყვეს, ყმაწვილი სამშვიდობოს გამოიყვანეს, მადლი მათ გარჯას! მოუხმეთ თურმანიძეს მათთვის დამწვრობის სამკურნალოდ, დაახმარეთ ხუროთ დამწვარი სახლის აღსადგენად!

•

გავიდა თხუთმეტი წელი.

საქართველოს საზღვრებს სამტროდ ზღვა თურქი მოსდგომოდა. თამარ მეფემ დალოცა ქართველთა ლაშქარი, დაულოცა დროშა გორგასლიან-დავითიანი, დაულოცა ხმალი და გაისტუმრა სამშობლოს დასაცავად.

მუსრი გაავლეს ქართველებმა ურჯულოებს.

ბრძოლაში გამარჯვებულნი პირნათელნი შეხვდნენ მათ შესაგებებლად წამობრძანებულ მეფე თამარს. თამარმა ყველას ტკბილი მადლობა უთხრა... უხვად დაასაჩუქრა ლაშქრის ნაწილი და ამალა გაიყოლა ალავერდის ტაძრისაკენ, რომ კათალიკოსთან გამარჯვების აღსანიშნავი პარაკლისი გადაეხადა.

ნაადრევი შემოდგომა იდგა.

მეფე თამარი ხედავდა, სოფლებს იერი შეეცვალათ. ალაზნის არხს ამ თხუთმეტ წელიწადში წელში გაემართა, გაელამაზებინა, ბარაქა დაედო მათთვის. ხალხი სათაყვანებელი მეფის და გამარჯვებული ლაშქრის შესახვედრად გამოფენილიყო. ღობეებს გადმომდგარი ქალები გზად მიმავლებს ყურძნის ჩხებს, აკიდოებს და ხილით სავსე კალათებს სთავაზობდნენ. იმ სოფელში კი, სადაც ერთ დროს ბავშვი ხანძრიდან გამო-



იყვანეს, დიდი ცაცხვის ძირში სახელდახელოდ მოზრდილი ტაბლა გაეწყოთ. ხილთან ერთად ზედ დაელაგებინათ თონიდან ახლად ამოყრილი ცხელ-ცხელი პურები, მრგვლად მოხარშული ქათმები, ვეებერთელა ხის შამფურებზე წამოცმული სურნელოვანი, ცვრიანი მწვადები, ფიჭიანი თაფლის პურები, ნაადრევად დაწურული შუშხუნა მაჭრით სავსე ხელადები და იწვევდნენ ყველას — დიდსა და პატარას, დიდებულს თუ უბრალო მეომარს.

არ გააწბილეს მასპინძლები, ცხენ-

დაცხენ ყველაფერს გემო გაუსინჯეს, ტკბილი მაჭრით დალოცეს და დაილოცნენ.

სოფელიც შეცვლილიყო. ხრიოკ მიწაზე დაწალიკებული ქოხმახების ნაცვლად, მწიფე ნაყოფით დატვირთულ ბაღ-ვენახებში და ვარდებით დამშვენებულ ეზოებში ქვითკირის სახლები მოჩანდა, ვარდის ბუჩქები ჩასდევდა ღობეებსაც, — ტანაყრილნი, გალაღებულნი ღობეს გადმოსცილებოდნენ და გზისკენ გადმოხრილნი და ფერად-ფერადად გაშლილნი თვალსა და გულს ახარებდნენ.

გაკვირდნენ მგზავრები ვარდების სიუხვით.

თამარ მეფეს, ვარდების თაიგულით ხელში კრძალვით მიეახლა თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონა. იდგა თავდახრილი, ხმის ამოღება ვერ გაებედა.

— ვისი ხარ, რა გქვია, მშვენიერო, მაგ შენს თაიგულს ასე რომ ალამაზებ? — ღიმილით გაამხნევა პირიმზემ.

— თამროს მიხმობენ, ღვთის სწორო, თურმე დაწვას გადამარჩინე, — ძლივს გასაგონი ხმით ჰკადრა მეფეს პასუხი გოგონამ. თაიგული ჩამალა, ფეხთით მოუფინა და დაიხარა კაბის კალთაზე სამთხვევად.

მეფემ ზე წამოაყენა გოგონა, თავზე ხელი გადაუსვა და დალოცა:

— მარად გფარავდეს ჯვარი პატიოსანიო.

სოფლის სახელი იკითხა ამაგდარმა.

— იკარო ჰქვიაო, — მოახსენეს.

—ასეთ სოფელს ვარდების სახელი უფრო შეშვენისო, — თქვა მეფემ და ბრძანა: — ეწოდოს ამ სოფელს ვარდისუბანი! — და დაბალი ხმით დაადასტურა, — მეფე ყოვლისა საქართველოისა თამარ!..

...და დასძრა ცხენი ალავერდისაკენ, თან გაიყოლა ამალა და ლაშქარი.

ხალხი სიყვარულით გასცქეროდა მიმავალთ, ვიდრე უკანასკნელი მხედარიც გზის მოსახვევში არ მიიმალა და ვიდრე სრულიად არ მიწყდა ლაშქრის სიმღერა.

გათხოვდა პატარა თამრო. კარგი ოჯახი შექმნა და დიდი სეხნიის შესაფერი შვილები დაუზარდა მამულს.





ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასე ვხვდებოდით ახალ წელს

ვიქტორ გოლიავკინი
მხატვარი
ედ. ამბოკაძე

ღამის თორმეტ საათზე, როცა ახალი წელი მოვიდოდა ხოლმე, მე მუდამ შუა ძილში ვიყავი. რამდენჯერ გვეწვია ახალი წელი, მაგრამ არც ერთი არ მინახავს. დილით გამეღვიძებოდა თუ არა, დედა ტკბილეულს მთავაზობდა და ამბობდა:

— ადე, ბიჭო! მოვიდა ახალი წელი!

მაგრამ მე კარგად ვიცოდი, რომ ახალი წელი ახლა კი არა, წუხელ მოვიდა.

დედას ვეკითხებოდი:

— შეხვდი?

— შევხვდი, — მეუბნებოდა დედა.

— ნახე?

დედას ეცინებოდა.

— აბა რა!

— მამამაც ნახა, ბებიამაც?

— აბა როგორ!

ძალიან მწყდებოდა გული.

ახალი წელი დიდი, ყურებიანი ქუდით მყავდა წარმოდგენილი. აი, ისეთით, საახალწლო მოსაწვევ ბარათზე რომ მინახავს დახატული.

...შესრულდება თუ არა თორმეტი

საათი, კარზე დააკაკუნებს, ეგებებიან, ეხვევიან, კოცნიან. „გაუმარჯოს შენს მობრძანებასო!“ — გაჰყვირიან.

ახალი წელი ხურჯინიდან საჩუქრებს ამოალაგებს, ჩამოურიგებს, ვისაც რა გაუხარდება, და ბოლოს იტყვის: „ახლა კი ნახვამდის, სხვა ოჯახებში მელოდებიან, იქაც უნდა შევიარო!“ და მიდის. მოსახვევამდე მიაცილებენ, მერე ყველანი შინ ბრუნდებიან და იძინებენ.

აი, ასე წარმომედგინა ახალი წელი.

რამდენჯერ ვცადე, ახალი წლის ღამეს არ დამძინებოდა. მაგრამ ჯინაზე, ხან სად, ხან სად, მაინც ჩამეძინებოდა ხოლმე. გაღვიძებით კი სულ მუდამ ლოგინში მეღვიძებოდა და სასთუმალქვეშ ყოველთვის საჩუქრები მხვდებოდა. ჩემი ძმა ჩემზე უმცროსია, მაგრამ იგი ჩემზე ადრე შეხვდა ახალ წელს. როგორ მოხდა ეს? სმენა იყოს და გაგონება! ახლავე გიამბობთ.

ძილი რომ არ მოჰკიდებოდა, ჩემი ძმა მაგიდის ქვეშ შემძვრალა, ამას არ უშველია და მალე ჩასძინებია, მაგრამ მერე, როცა უფროსები მაგიდას შემოუსხდნენ, იმწამსვე გაღვიძებია.

ჰოდა, მეორე დღეს, იცით რა მითხრა? ახალი წელი არ მოსულაო!

— როგორ თუ არ მოსულა?! — გამიკვირდა.

— როგორ და არ მოსულა! მორჩა და გათავდა.

— შენ ალბათ მაგრად ჩაგეძინა მაგიდის ქვეშ და ვერაფერი გაიგე.

— ჩამეძინა კი არა! საათმა თორმეტჯერ დარეკა, უფროსები აყვირდნენ! „გაუმარჯოს ახალ წელსო!“ მაშინვე გამოვძვერი, მაგრამ ახალი წელი არსად იყო.

— აბა ვის შეხვდით?

— ვისა და ახლ წელს!

— ახლა არ თქვი, არ გამოჩენილაო. თუ მოვიდა, როგორ ვერ დაინახე?!

— თუ არა გჯერა, — მითხრა ძმამ, — გაისად რომ მოვა ახალი წელი, შეამოწმე და შენი თვალითა ნახავ — შესრულდება თორმეტი საათი, მაგრამ არავინაც არ შემოვა.

— ალბათ გეძინა და რას დაინახავდი! საათის რეკვა კი ძილში ჩაგესმებოდა.

— არ მძინებია, არა-მეთქი! — ყვიროდა ჩემი ძმა.

— გეძინა, გეძინა — ვჯიუტობდი

— შენ თვითონ გეძინა! — მეუბნებოდა ძმა.

— მე კი მეძინა, მაგრამ შენც გეძინა, მე ლოგინში მაინც მეძინა, შენ კი — მაგიდის ქვეშ! არ ჯობდა, შენც ჩაწოლილიყავი.

— არ მეძინა! გეფიცები, არ მეძინა-მეთქი.

— თუ არ გეძინა, აბა რატომ ვერ ნახე!

— არ მოსულა და რა მენახა!

— გეძინა, გამოტყდი, რომ გეძინა, — არ ვეშვებოდი.

ამით დამთავრდა ჩვენი კამათი. ძმას გული მოუვიდა და გაიქცა. მე კი დიდხანს დარწმუნებული ვიყავი, რომ მართლაც ეძინა მაგიდის ქვეშ და სწორედ ამიტომ ვერ ნახა საჩუქრებით დატვირთული ახალი წელი.

აი, ასე წარმომედგინა ახალი წელი, როცა ჯერ კიდევ პატარა ვიყავი.

გადმოაქართულა ზურაბ ლეჟავაშვილმა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უცნაური ხეები

მცენარეთა სამყაროს არსებობა დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ამიტომ ყოველი ჩვენგანი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს ტყეს, თითოეულ ხესა და ბუჩქს, მით უმეტეს, რომ გარდა საყოველთაოდ ცნობილი კეთილი თვისებებისა (ატმოსფეროს გამდიდრება ჟანგბადით, ნიადაგის ტენიანობის შენარჩუნება, ხმაურის შთანთქმა და სხვ.), ზოგიერთ ხეს განსაკუთრებული თვისებები აქვს, რომლებიც ფასდაუდებელ მნიშვნელობას ანიჭებენ მათ. ზოგი ასეთი ხე უკვე გაგაცანით, ზოგიერთზეც ახლა გვინდა მოგითხროთ.

**აქტინიდია.** იგი შორეულ აღმოსავლეთში ხარობს (ადგილობრივი მცხოვრებნი მას ქიშმიშს ეძახიან). ეს მცენარე ლიანათა ოჯახის მონათესავეა, ადვილად მიცოცავს ხეებზე და დაბურულ ტევრებს ქმნის.

აქტინიდიის ფოთლები ზაფხულში რამდენჯერმე იცვლიან ფერს. ყვავილებს სასიამოვნო სუნი აქვთ. მწვანე ნაყოფები ყინულის ფერადი ლოლუებივით ჰკიდია ლიანებზე. მათგან შესანიშნავ მურაბას და სასმელებს აკეთებენ. C ვიტამინის შემცველობით აქტინიდია 5-ჯერ სჯობნის მოცვს და 15-ჯერ — ლიმონს.

**სიუხვის ხე.** ეს ფანტასტიკური თვისებების მქონე ხე, რომელსაც ლათინურად გრძელი და რთული სახელი ჰქვია, რამდენადმე ჩვენთვის კარგად ცნობილ მიმოზას ჰგავს. იგი ერთდროულად შესანიშნავი საქონლის ნედლეული, დიდებული საშენი მასალა და მაგარი შეშა გახლავთ. მისი ფოთლები ცხოველებისათვის ნოყიერი ცილოვანი საკვებია, ამასთანავე, მათგან კარგი აზოტოვანი სასუქიც მზადდება. ამ ხის ყლორტები — გინდ შეწვი, გინდ მოხარშე და გინდ წვნიანი მოამზადე — ყოველნაირად გემრიელია. გამხმარი ყლორტების ფქვილი

(დასასრული იხ. 31-ე გვ.).




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №1

# აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია

„პიონერის“ ის ნომერი, რომელშიაც ი. ყ.-ს წერილი დაიბეჭდა, დღეს სკოლაში წავიღე და ამხანაგებს ვაჩვენე. თურმე იმათაც წაეკითხათ. გადავწყვიტეთ, რომ გაკვეთილების შემდეგ პიონერთა ოთახში შევკრებილიყავით და ჩვენ ჩვენი აზრი გამოგვეთქვა.

პიონერთა ოთახში სხვა კლასელებიც დაგვხვდნენ და გაიმართა გულწრფელი კამათი.

ახლავე უნდა ვთქვა: ჩემმა მეგობრებმა გაკიცხეს ი. ყ.-ს თანაკლასელები იმის გამო, რომ მათ, შეიძლება ითქვას, გამიზნული დარტყმა მიაყენეს ისედაც დამწუხრებული მასწავლებლის გულს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, უყვარდათ თუ არა ბავშვებს თავიანთი პედაგოგი. ისინი საერთოდ არაჰუმანურად მოიქცნენ — არაფრად ჩააგდეს უდიდესი ადამიანური მწუხარება — დედის სიკვდილი.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ი. ყ.-ს საქციელმა. აი, ზოგიერთი პიონერის მოსაზრება:

**მაია გურგენიძე** (VI კლ.) — მე არა მჯერა ი. ყ.-სა, ვერ ვირწმუნებ, რომ თუნდაც ოთხი-ხუთი ამხანაგი ვერ დაიყოლია კლასში დასარჩენად.

**დათო ბერიძე** (VIII კლ.) — როცა ი. ყ.-მა დაინახა, რომ კლასი „შატალოზე“ წასვლას აპირებდა, მას ეს ამბავი პიონერხელმძღვანელისთვის ან დირექციისათვის უნდა შეეტყობინებინა (დათოს აზრი გაიზიარეს მეშვიდეკლასელებმა ლამზირა კონცელიძემ, გიული ბოლქვაძემ, მანონი შავანაძემ, დურსუნ კონცელიძემ, ნინო ბერიძემ და სხვ.).

**ნესტან ბერიძე** (VII კლ.) — ჩემდათავად ვერ გავამტყუნებ ი. ყ.-ს. დამიჯერებდნენ თუ არ დამიჯერებდნენ ამხანაგები, - მე ვერ მივიდოდი დირექტორთან და ვერ დავასმენდი, არიქა, კლასი „შატალოზე“ მიდისმეთქი.

**რუსუდან კონცელიძე** (VIII კლ.) — მე არ მომწონს ურთიერთდამოკიდებულება ი. ყ.-ს თანაკლასელებს შორის. ნუთუ ის, ვისაც „შატალოს“ იდეა დაებადა, უფრო ავტორიტეტულია კლასში, ვიდრე კეთილგონიერი ი. ყ.? და თუ ეს ასეა, მაშინ ცუდად ყოფილა დაყენებული საქმე პიონერულ ორგანიზაციაში, პიონერებს წარმოდგენა არ ჰქონიათ არა მარტო ჰუმანიზმზე, არამედ აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზეც (რუსუდანის აზრი გაიზიარეს მეხუთეკლასელმა ბადრი ფუტკარაძემ, მეექვსეკლასელმა ირმა ქამადაძემ, მეშვიდეკლასელმა ემზარ კონცელიძემ, მერვეკლასელმა ჯემალ შოთაძემ და სხვებმა).

**მანანა ჩოგაძე** (VIII კლ.) — ი. ყ. არ არის მართალი. თუ მან ამხანაგების დარწმუნება ვერ შეძლო, იგი მათთან ერთად უნდა წასულიყო გაკვეთილიდან და მათთან ერთად ეტვირთა დანაშაულის სიმძიმე.

აი, დაახლოებით ასეთი აზრები გამოითქვა ჩვენს სტიქიურ შეკრებაზე. ახლა კი „პიონერი“-ს მკითხველებმა განსაჯონ, ვინ არის ჩვენში მართალი.

**ჯულიეტა ჯაყელი,**
**ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის საშუალო სკოლა, VII კლასი.**

## შეცდომის ფასი

ბევრი ვიმსჯელეთ და ვიკამათეთ მოსწავლე ი. ყ-ის წერილის თაობაზე. ჩვენი აზრით, კლასიც და გოგონაც ერთნაირად დამნაშავენი არიან. კოლექტიური გაკვეთილების გაცდენა თავისთავად დანაშაულია, ამ შემთხვევაში კი ორმაგი დანაშაულია ჩადენილი.

მასწავლებელს ყველაზე ძვირფასი ადამიანი—საყვარელი დედა გარდაეცვალა. მან მოუშუშებელი ჭრილობა, გულისტკივილი დაძლია და სკოლაში გამოცხადდა, რათა მოსწავლეებისათვის ნიშნები დაეწერა. კლასში კი არავინ დახვდა. გულისტკივილს ახალი გულისტკივილი დაერთო. ნუთუ მოსწავლეებს სხვისი დარდის, სხვისი უბედურების განცდა არ უნდა შეეძლოთ?

მოსწავლისა და მასწავლებლის ჩვეულებრივ ურთიერთობაში უნდა არსებობდეს უბრალო ადამიანური, მეგობრული დამოკიდებულება.

ერთხელ ჩვენმა კლასმა „შატალო“ მოაწყო. მასწავლებლის დღე იყო, ჩვენ კი სკოლაში არ გამოვცხადდით. რაღა თქმა უნდა, ყველანი დაგვსაჯეს. მაგრამ, უფრო მძიმე, მორალუ-

ჩვენი შემოქმედება

# ჩვენ მშვიდობა გვინდა!

დღეს მსოფლიოში ძალზე დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობაა, არსებობს ატომური ომის აშკარა საშიშროება. ნუთუ ამერიკელებს კატასტროფის არ ეშინიათ! ამ ომის შედეგად ხომ მთელი დედამიწა დაიღუპება. იაპონელ მილიტარისტებს, ასე გამალებით რომ იარაღდებიან, ეტყობა, ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური ტრაგედია დაავიწყდათ.

ჩვენ საბჭოთა პიონერები, მსოფლიოს ყველა ბავშვებთან ერთად მშვიდობას მოვითხოვთ და ერთხმად ვაცხადებთ:

შეჩერდით! ნუ გადახვალთ ჩვენი და ჩვენი დედების ნება-სურვილს.

შეჩერდით! გაიხსენეთ მსოფლიოს პირველი კოსმონავტის იური გაგარინის სიტყვები კოსმოსიდან: „რა მშვენიერია ჩვენი პლანეტა!“

რი სასჯელი გამოდგა. მხოლოდ შემდეგ მივხვდით თუ რა დიდი სულიერი ტრავმა მივაყენეთ მასწავლებელს. იმის მაგივრად, რომ ასეთი დღესასწაული მიგველოცა, გაკვეთილები გავუცდინეთ და გული ვატკინეთ. რომელიმე ჩვენგანს რომ გაეჩერებინეთ: „რას აკეთებთ, ბავშვებო, ნუ წავალთო“, არ წავიდოდით. ამით იმის თქმა გვინდა, რომ წერილის ავტორის დანაშაული ის არის, კლასს რომ შეცდომა არ აუხსნა და დარჩენა არ ურჩია. მის რჩევას უმრავლესობა თუ არა, ზოგი ხომ ნამდვილად დაუჯერებდა. მან კი დუმილი ამჯობინა. არა გვგონია, ასეთი საქციელით მას მასწავლებლის თვალში ავტორიტეტი მომატებოდეს. პედაგოგი უფრო მეტ პატივს სცემდა მას, აქტიურად რომ ემოქმედა და თანაკლასელების შეცდომა არ დაეშვა. ამ „შატალოს“ ძალზე არასასიამოვნო შედეგი მოყვა: მასწავლებელმა სულიერი ტკივილი მიიღო. გოგონასა და კლასის ურთიერთობაშიც ბზარი გაჩნდა.

საკუთარ საქციელზე ყველამ პასუხი უნდა აგოს, მითუმეტეს პიონერმა და კომკავშირელმა.

გვჯერა, რომ გავს შეცდომას მომავალში არც წერილის ავტორი ჩაიდენს და არც მისი თანაკლასელები.

თქვენ რა აზრისა ხართ?

**მაია კიფილაძე, ლია ნასიბოვა, ზაზა გოკერია, ნანა ჩაგუნავა, გია ფილიშვილი, მაია წიძარიძე, ირინე ჟელიძე, ეკა ტარყაშვილი, ხათუნა გივიაშვილი.**

**თბილისის 182-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები.**

ჩვენ გვინდა, რომ არასოდეს წაიშალოს ჩვენი დედამიწის მშვენიერება, მარად იყოს აქ მზე, მშვიდობა და ბედნიერება.

**ნინო ჭვერავა,**
**თბილისის 154-ე სკოლა, VI კლასი.**

# მეოცნებე ფერია

მორცხვი გოგო ჩანდა, ჩუმი. ზღვასავით ლურჯი თვალები ჰქონდა, უხდებოდა სევდა, ოცნება უყვარდა. იჯდა ხოლმე მუხის ძირას ხავსიან ლოდზე და ოცნებობდა. ირგვლივ შაშვები ჭახჭახებდნენ, შრიალებდნენ ფოთლები და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

ტყე სუნთქავდა და მწვანე მკერდზე ცრემლებივით ეცემოდა შემორჩენილი წვიმის წვეთები.

იგი თვალებდახუჭული იჯდა. დიდხანს იჯდა. და ლოდიდან მაშინ დგებოდა. როცა ღამეული ვარსკვლავები იწყებდნენ ცაზე კიაფს. თავზე გვირგვინი ედგა ხოლმე — ბალახის ღეროებისაგან დაწნული, უცნაურად ლამაზი გვირგვინი. თმებში ციცინათელები გაბნეოდა და ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ.

გარინდული, ფეხაკრეფილი დადიოდა ტყეში და ფოთლებსა და ცელქ ნიავს უსმენდა.

ალბათ უკვე შეიცანით ტყის ფერია, პატარა, კეთილი, მეოცნებე ტყის ფერია, ზღვასავით ლურჯი თვალებისა და ზღვასავით უნაპირო სევდის პატრონი.

**მაია თუნგია,**
**გალის რაიონის ეფის საშუალო სკოლის მოსწავლე.**

## მძინარა ფისო

თხილიანი კალათი
გაუცლიათ თაგუნებს.
ფისუნია მძინარას
თავში ნაუთაქუნეს.

## იორამი

ხიდან ბარტყი ჩამოვარდა,
მოთქმა მორთო ჩიორამა.
შვილი დედას დაუბრუნა
გულკეთილმა იორამმა.

## უწესო ბიჭი

ნანამ უთხრა ჭინჭარს:
ამ უწესო ხვიჩას
თუ დასუსხავ, კარგს იზამ —
გაურეცხავ ხილს ჭამს.

**მამუკა მანია,**
**სოხუმის რაიონის შრომის საშუალო სკოლა, VII კლასი.**

# შენი უცხოელი თანატოლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვები გაყიდეს

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკის ცენტრალურ ავტოსადგურში ვართ. დილის 4 საათია. ბეტონის სკამზე ხეიბარი ყვინთავს. ბჟუტავენ ჭუჭყიანი ნათურები. ჩამოძონძილი კაცი ჩახლეჩილი ხმით აცხადებს ავტობუსების მოსვლასა და გამგზავრებას. ჩვენ ველოდებით იმ სამი ბავშვის ჩამოსვლას წინადღით რომ ვიყიდეთ. ამ გარიგებაზე იმიტომ დავთანხმდით, რომ დაგვედასტურებინა — მიუხედავად მთავრობის მტკიცებისა, ტაილანდში მონებით ვაჭრობაა გაჩაღებული.

ჩვენმა თარჯიმანმა მანგკორნმა პირველმა შენიშნა ისინი. წინ შავსათვალიანი და შლაპიანი შუამავალი მოაბიჯებს. რომელმაც „საქონელი“ უნდა ჩაგვაბაროს. მას მოსდევს პატარა გოგონა ძონძმანებში, რომელიც მუცელს ძლივს უფარავს. ხელში პატარა ფუთა უჭირავს. შემდეგ მოკლედ თმაშეკრეჭილი ბიჭი მოდის, მის გვერდით კი მასზე უმცროსი ბიჭუნა. სამივენი დამფრთხალნი და დაბნეულნი სხდებიან ბეტონის სკამზე.

ტხონგ დუმი — უფროსი ბიჭი 12 წლისაა. ადამიანებით მოვაჭრეთა საზომით იგი საკმაოდ „მაგარია“ და ამიტომ მის საფასურად 170 მარკა გადავიხადეთ. 140 მარკა დაგვიჯდა თერთმეტი წლის გოგონა ბოუნლაი. უმცროსი ბიჭუნა კი 130 მარკად ვიყიდეთ.

ახლა ეს ბავშვები ჩვენი „საკუთრებაა“. უნდა ითქვას, რომ მათ ნამდვილად ბედმა გაუღიმათ. ვინაიდან ტხონგ დუმი თვდაპირველად შუშის ქარხანას მიყიდეს, სადაც სიმძიმეები უნდა ეთრია. ბოუნლაი კი სართავ ფაბრიკაში იყო გაყიდული. შემდეგ იგი უთუოდ ბავშვთა სამეძაო სახლში მოხვდებოდა, რომელიც ბანგ-



# ცხოველთა მეგობრობა

დღეს არავის აკვირვებს სხვადასხვა ჯურის ცხოველთა მეგობრობის ფაქტები. ალბათ ბევრს გინახავთ მობალახე საქონლის ზურგზე მოფუსფუსე შოშიები, ისინი ცხოველის სხეულზე პარაზიტებს — კოღოებს, ტკიპებს, ეძებენ და ძროხაც სიამოვნებით გაილურსება ხოლმე — კუდსაც კი არ გააქნევს.

ამგვარი სცენები ტიპიურია აფრიკის სავანებისათვის. აქ, ცხოველთა აღიარებულ სამოთხეში, განსაკუთრებით ბევრი და დიდი ზომის მსხვილი ჩლიქოსნები გვხვდებიან. ბევრია პარაზიტიც და ამიტომ ხშირად ვხვდებით ნადირ-ფრინველთა მეგობრობის შემთხვევებსაც. აი, ჟირაფს თავს ახვევია მოუსვენარი, მატლიჭამია ფრინველები, ისე დაძვრებიან მის კისერზე, როგორც ჩვენებური კოდალები მობერებული ხის შტამბზე. და ცხოველიც მშვიდად, თითქოს მადლიერად „აკენკვინებს" თავის ხუთმეტრიან სხეულს სასურველ სტუმრებს. ასე იქცევა რამდენიმე სახეობის ანტილოპაც. სამეცნიერო ექსპედიციებში მუშაობისას ნახჭევანის დაჭაობებულ ნახევრად უდაბნოებში არაერთხელ გვინახავს, როგორ დანავარდობენ და ნადირობენ შოშიები აქლემების სხეულზე. კიდევ უფრო მრავლად ჰყავთ ამგვარი სტუმრები კამეჩებს. მათ შორის აღსანიშნავია თეთრი წერო. თუ გავითვალისწინებთ, რა აუტანელია ზაფხულში აბეზარი კოღო-ბუზების შემოტევა, მივხვდებით, რომ ეს ფრინველები ჩლიქოსანი ცხოველების ნამდვილი მეგობრები არიან.

სხვადასხვა სახეობის ცხოველებს შორის არსებულ მეგობრობას არაერთხელ გაუოცებია ბერძენი სწავლული ჰეროდოტე. ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 450 წელს ჰეროდოტე ეწვია ეგვიპტეს, სადაც ქურუმებმა სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად სტუმარს უჩვენეს წმინდა ცხოველების — ნიანგების ტაძარი ქალაქ იმბოსში. პალმებით დაჩრდილულ პარკში მარმარილოს აუზებში თვლემდნენ უზარმაზარი რეპტილიები. ოქროს სამკაულებით დამშვენებულ ქვეწარმავლებს არაჩვეულებრივი საკვე-

---

კოკში „ჩაის სახლად" იწოდება. პატარა მონუს კი რესტორანში უნდა ემუშავა. მაგრამ ჩვენ მათ საფასურად საგრძნობლად მეტი გადავიხადეთ და ამიტომ ამ ბავშვების ბედი ჩვენს ხელთ არის. შეგვიძლია ისინი მშობლებს დავუბრუნოთ, რომელთაც შვილები გასაყიდად გაიმეტეს. რადგან არსებობის არავითარი წყარო არ გააჩნიათ.

10 და 15 წლის ასაკის 500 მოზარდი იყიდება ყოველ კვირას ბანგკოკში ფაბრიკების მეპატრონეებზე.

ეს ბავშვები ემსახურებიან მძიმე წნეხებს, ათრევენ ტომრებს, იძულებული არიან იმუშაონ დასაპალნებაზე, ტვიფრონ თუნუქის ფიგურები, შეფუთონ ათასობით პაკეტი და ყველაფერი ეს დღეში 12 საათის განმავლობაში. ამაში მათ არავითარ გასამრჯელოს არ აძლევენ, მხოლოდ აჭმევენ. მეპატრონეები უმოწყალოდ ცემენ უმწეო ბავშვებს, ათასგვარი სასჯელით ემუქრებიან, თუ რომელიმე მათგანი გაქცევას გაბედავს. ბევრი ბავშვი საერთოდ ვერ ხედავს დღის სინათლეს — მთელი მათი ცხოვრება ფაბრიკის კედლებში მიმდინარეობს. აქ მუშაობენ. ჭამენ. აქვე ძინავთ, ხშირად ქვის შიშველ იატაკზე, ერთი სიტყვით, თავიანთი მეპატრონეების ნამდვილი მონები არიან.

დილის 8 საათია. გადავწყვიტეთ ბავშვები ჩვენი შუამავლის კანტორაში მივიყვანოთ...

დღის 12 საათია. ვსხდებით ავტობუსში და მივემგზავრებით სოფელ ხინ ლადში. იმისათვის, რომ ეს ბავშვები მშობლებს დავუბრუნოთ.

სოფელში მხოლოდ და მხოლოდ ხიმინჯებზე შემდგარი რამდენიმე საცოდავი ხის ქოხია. ბოუნლაი მაშინვე მივარდა თავის პატარა დაიკოს — მთლად შიშველ. ჭუჭყიან გოგონას. რომელიც ნაგავში იქექებოდა. მონმა იქვე ჩრდილში შეფარებულ მოხუცთან მიირბინა.

ბავშვების მშობლები გულგრილად უსმენენ თარჯიმანს. რომელიც ელაპარაკება მათ ფაბრიკებში არსებულ უმძიმეს პირობებზე და „შუამავლების" ცრუ დაპირებებზე.

ბოუნლაის დედას უგულობას ვერ დასწამებთ. მან თავისი გოგონა გაყიდა, რადგან ძალა აღარ შესწევს გამოკვებოს ხუთი შვილი. ქმარი ორი წლის წინ მოუკვდა. მას არასოდეს არ უსწავლია სკოლაში, არ იცის სად მდებარეობს ბანგკოკი, მხოლოდ ის გაუგონია, რომ იქ მდიდრები სახლობენ. 140 მარკა, რომელიც მან გოგონას საფასურად მიიღო. მისთვის მთელი საგანძურია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ახლა 52 მილიონი მცირეწლოვანი ბავშვი შრომობს. იქნებ ბოუნლაის, ტხონგ დუმისა და მონის მშობლებმა კვლავ გაიმეტონ შვილები გასაყიდად, თუ კარგ ფასს შეაძლევენ? შესაძლებელია, რადგან მათ სხვა გზა არ ექნებათ, თუ მომავალი წელიც მოუსავლიანი იქნა და სოფელმა შიმშილს ვეღარ გაუძლო.

„შტერნი" (გფრ)

ბით — შემწვარი კაკბებით, შებოლილი ღორის ხორცითა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ. მაგრამ ჰეროდოტე არც მარმარილოს აუზებს გაუკვირვებია, არც ოქროს სამკაულებს და არც ფარაონის საკადრის სანოვაგეს. იგი გააოცა და ალაფრთოვანა პატარა რუხი ფრინველების — ლალღების საქციელმა.

ღრეობის შემდეგ ნიანგები ფართოდ აღებდნენ პირს და ლალღები პირდაპირ ხახაში უძვრებოდნენ მათ. საკმარისი იყო რომელიმე ურჩხულს თავისი საზარელი ყბები დაეხურა, რომ რამდენიმე ლალღა ერთბაშად გაექრო. მაგრამ ნიანგები არასოდეს არ აკეთებდნენ ამას, მაშინაც კი, როდესაც მშივრები იყვნენ. საქმე ის არის, რომ ლალღები ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ ნიანგებს. ეს ფრინველი-დანტისტები მათ კბილებს უსუფთავებენ და ამიტომ პირდაღებული გიგანტები საათობით გატრუნულები წვანან ხოლმე მანამ, სანამ ლალღები სრულიად უშიშრად დაძვრებიან მათ საშინელ კბილებს შორის.

ჰეროდოტემ სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაწვრილებით აღწერა ფრთოსნებისა და ნიანგების ეს განსაცვიფრებელი მეგობრობა, მაგრამ მას არავინ დაუჯერა.

ჰეროდოტეს დროს და მის შემდეგაც, ძალიან დიდხანს რიგი მკვლევარებისა ამტკიცებდა, ნიანგები სპეციალურად თავიანთი ფრთოსანი მეგობრებისათვის საქ-



მის გასაადვილებლად წვანან მზეზე პირდაღებულებიო. მოგვიანებით დამტკიცდა, რომ ქვეწარმავლები ორგანიზმის გასაგრილებლად აღებენ ხახას. გაირკვა ისიც, რომ ზოგიერთი ფრინველი, გარდა იმისა, რომ სანიტრის კეთილშობილურ მისიას ასრულებს, სხვა სამსახურსაც უწევს თავის მრისხანე პარტნიორს. სახელდობრ, ჩიბისის ერთ-ერთი სახეობა ნიანგს ყარაულობს კიდეც. საკმარისია, ახლომახლო ადამიანი ან ხომალდი გამოჩნდეს, რომ ფრინველი ნიანგის თავზე მოუსვენრად ხტომას და უცნაური პირუეტების კეთებას იწყებს. გიგანტური ხვლიკისნაირებისათვის ეს განგაშის თავისებური სიგნალია და ისინიც მაშინვე წყალს აფარებენ თავს.

დღეისათვის მსგავსი „მეგობრობის“ არაერთი მაგალითია ცნობილი მეცნიერთა და ბუნების რიგით მოყვარულთათვის. ურთიერთდახმარების ათობით ფორმა არსებობს სრულიად სხვადასხვა ორგანიზმებს შორის, თვით ცხოველებსა და მცენარეებს შორისაც.

ასე მაგალითად, რვაფეხა კიბორჩხალები „მეგობრობენ“ აქტინიებთან; პოლიპებთან და ნიჟარიან მოლუსკებთან „ხელიხელჩაკიდებულები სწევენ ცხოვრების ჭაპანს“ კიბორჩხალები და ღრუბლები, თევზები და მედუზები, ჭიანჭველები და მცენარეთა მღილები (ბუგრები).

ასეთ მეგობრობას ანუ კოოპერაციას, რაც სახეობათშორის ურთიერთ სასარგებლო დახმარებაზეა აგებული, სიმბიოზს (ბერძნულად — ერთად ცხოვრება) უწოდებენ. იმ ცხოველებს კი, რომლებიც ამგვარ, მეგობრულ ურთიერთკავშირს ამყარებენ, — სიმბიონტებს.

ანალოგიურ ურთიერთობაზეა აგებული საქართველოს ფაუნის წარმომადგენლების — ჯიხვისა და შურთხის მეგობრობაც. ეს ორი ცხოველი შესანიშნავად ავსებს ერთმანეთს, განსაკუთრებით ზამთრობით. საკვების ძებნისას ჯიხვი ღრმა თოვლში ჩლიქებით გამოთხრის ხოლმე შურთხის საყვარელ ხმელ ბალახს, შურთხი კი სტვენისმაგვარი ბგერებით იკლებს არემარეს, როგორც კი შეამჩნევს, რომ ჯიხვს ნადირი ან ადამიანი ეპარება, და ჯიხვიც სწრაფად ეცლება იქაურობას.

სიმბიოზზე ლაპარაკისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიბო-განდეგილისა და აქტინიას მეგობრობის კლასიკური მაგალითი. ამ უჩვეულო თანაარსებობის შესახებ ჯერ კიდევ ორიათას წელზე მეტი ხნის წინათ წერდა ზოოლოგიის მამა არისტოტელე.

აქტინია ზღვის მტაცებელი ცხოველია, შესახედავად ყვავილსა ჰგავს, მაგრამ მისი გარეგნობა მაცდურია. ეს „ყვავილები“ ძლიერ შხამიანია. ამიტომ ნეპტუნის სამეფოს ყველა ბინადარი ცდილობს აქტინიასაგან შორს ყოფნას, მხოლოდ ერთადერთი კიბო-განდეგილი სარგებლობს უხვად აქტინიას შხამიანი „ყვავილებით“.

განდეგილებს ან დიოგენებს ზღვის კიბორჩხალებს უწოდებენ. განდეგილი ცხოვრებისათვის მათ საკმაო საფუძველი აქვთ:

კიბო-განდეგილის მუცელი რბილია და, ამდენად, ზღვის ათასობით მტაცებლისაგან სრულიად დაუცველი. კიბორჩხალები სხვადასხვა სახეობის ლოკოკინათა ცარიელ ნიჟარებში მალავენ ამ თავიან „აქილევსის ქუსლს“, ეძებენ შესაფერისი ზომის ცარიელ ნიჟარას, ხოლო თუ ცარიელი ვერ ნახეს, შიგ მცხოვრებ ლოკოკინას უტევენ, ნიჟარიდან აძევებენ და „წარბშეუხრელად“ იკავებენ კანონიერი პატრონის ადგილს. ამიერიდან ნიჟარის შესასვლელი მათი მარწუხებით არის ამოყორილი. მაგრამ ზღვაში არიან უფრო ძლიერი მტაცებლებიც, ნამდვილი ყაჩაღები, რომლებსაც სრულიადაც არ აშინებთ კიბოს ძლიერი მარწუხები. ასეთია, მაგალითად, რვაფეხა. მძლავრი საცეცებით იგი იოლად ამტვრევს მარწუხ-კარს, თავისი სადაფის სენაკიდან გამოათრევს ზღვის განდეგილს და შეექცევა.

ყაჩაღებისაგან თავის დასაცავად კიბორჩხალა მხოლოდ ლოკოკინის ნიჟარით როდი კმაყოფილდება,—იგი ზღვის ჯურღმულებში შხამიანი „ყვავილის“ — აქტინიას გვერდით სახლდება.

ასე იწყებენ მეგობრები ერთობლივ ცხოვრებას.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



მარგო
თომაძე

> იქ, სადაც გრილი სიო ჰქრის,
> იქ, სადაც წყაროს წყალია,
> მსურს გავატარო ზაფხული,
> მივდივარ, მიმიხარია.
>
> ლადო ასათიანი

საქართველოში უხვადაა მჩქეფარე მდინარეები, ნაკადულები, ჩანჩქერები, ტბები, ცივი და ანკარა წყაროები. მათაც გაუძლეს ჟამთა სიავეს, მათაც უამრავი ფათერაკი გადახდენიათ თავს. მომხდურნი ანადგურებდნენ ტყეებს, ანგრევდნენ წყაროებისა და ნაკადულების სათავეებს. მაგრამ გადაიქროლებდნენ გრიგალები და მშრომელი კაცი ისევ აშენებდა ტყეს, ისევ ახლად იბადებოდნენ დაშრეტილი და მიწაში ჩაკარგული წყაროები. მოსახლეობა კი მაინც დიდად განიცდიდა წყლის სიმცირეს. ბევრ სოფელში თითო წყარო თუ მოწანწკარებდა და მთელი დღის განმავლობაში მის წინ წყლის ასავსებად ათასი ნაირფერი ჰურჰელი იყო ჩამწკრივებული. „წყალ" ძირისაგან ბევრი ქართული სიტყვაა ნაწარმოები: უწყალო, უმოწყალო, საწყალობელი, საწყალი, შესაწყალებელი, მწყალობელი, წყალობა... სიტყვა „უწყალო", ალბათ, ერთ დროს იმ ადგილს აღნიშნავდა, სადაც წყალი არ იყო. ასეთი ადგილი, რა თქმა უნდა, ადამიანის საცხოვრებლად გამოუსადეგარი, მკაცრი და მწირი იყო. გადატანითი მნიშვნელობით „უწყალოს" შეუბრალებელ, გულცივ ადამიანზე იტყვიან; კეთილსა და სათნო ადამიანზე, გაჭირვებულის ხელის გამმართავზე კი ამბობენ, რა გულმოწყალეაო.

ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები გვიდასტურებენ, რომ ადგილ-ადგილ საქართველოში მართლაც აკლდათ წყალი. არის ერთი მეტად გავრცელებული სიმღერა, რომელიც მაჩხაანელ პატარძალზეა ნათქვამი:

> მაჩხაანს ჩამოვიარე,
> წყალი იყო მეტად ძვირი,
> პატარძალსა წყალი ვთხოვე,
> მომაწოდა ლეღვის ჩირი.

აქ საგულისხმოა მეორე ამბავიც: ხალხური გადმოცემით, სასმელ წყალს პატარძალს ჩააბარებდნენ ხოლმე; რამდენად ძვირფასი და გასაფრთხილებელი უნდა ყოფილიყო წყალი, რომ მის მოვლა-პატრონობას ოჯახის ყველაზე უფრო საპატიო წევრს, პატარძალს ანდობდნენ! კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი: იმერეთში მგზავრი წყალს რომ ითხოვდა, სახარჯო ღვინით ავსებულ ლიტრას აწვდიდნენ. ეს, გარდა ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობისა და გულუხვობისა, ნაწილობრივ შეიძლება წყლის ნაკლებობითაც იყო გამოწვეული.

ბევრ ქართულ ზღაპარში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული წყაროს გულისათვის. აგერ, გამოჩნდება რომელიმე ცხრათავიანი ან თორმეტთავიანი გველეშაპი, ჩაიხერგება წყაროს თავში და ყოველი კოკა წყლის საფასურად თითო მზეთუნახავს ითხოვს. მაგრამ გმირი მზეჭაბუკები ბასრი მახვილით ერკინებიან ვერაგ და საშინელ გველეშაპებს, თავებს ჰკვეთენ და სოფელს მაცოცხლებელ წყაროს უბრუნებენ.

წყარო საქართველოში ოდითგანვე წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. მას თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და უვლიდნენ, მასთან ატარებდნენ რელიგიურ რიტუალებს. მაგალითად, სიღნაღში ძველად ყველიერის პირველ დღეს მთელი სოფელი თავგატეხილას წყაროსაკენ მიეშურებოდა. საღამო ჟამს ანთებული სანთლებით გარს უვლიდნენ წყაროს, რათა „ავი სულისაგან" განეწმინდათ წყაროს შემოგარენი და თვითონაც განწმენდილიყვნენ.

გავრცელებული ყოფილა, აგრეთვე, ე. წ. „სულის წყაროები". ფშავ-ხევსურეთში მიცვალებულის პატივსაცემად იმართებოდა საგანგებო რიტუალი. ხევისბერი ჰირისუფლების თანდასწრებით აკურთხებდა იმ წყაროს, რომელიც განსვენებულს უყვარდა. ამ რიტუალს წყაროს კურთხევა ეწოდებოდა, წყაროს კი — იმ „სულის წყარო", რომელზედაც იყო დაკურთხებული. ეს ტრადიცია ფშავ-ხევსურეთში აქა-იქ დღემდე შემორჩა. ასეთი წყაროს შერჩევისას დიდ ყურადღებას აქცევდნენ მის მდებარეობას, არჩევდნენ ისეთ ადგილს, სადაც ბევრ მგზავრს უხდებოდა გავლა — უმთავრესად გზის პირს. წყაროს უკეთებდნენ წარწერას, რომელიც გამვლელ-გამომვლელს სთხოვდა, შეესვა წყალი; იქვე იდგა ფიალა ან ჰიჭა.

უწყლო ადგილას საძირკველს არავინ ჩაყრიდა, არავინ დასახლდებოდა; სოფლები უმთავრესად ტყეების მახლობლად შენდებოდა, იქ, სადაც ცივი და ანკარა წყაროები მოჩქეფდნენ. დღემდე შემორჩენილია ადგილის სახელწოდებები, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ ოდესღაც ამ ადგილებში წყაროები იყო. მაგალითად, სოფელ მოლითთან ერთ-ერთ ფერდობს „წყაროები" ეწოდება. ამჟამად ფერდობზე წყაროების ნაკვალევიც კი არა ჩანს, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ოდესღაც ამ ადგილას წყაროები ამოჩქეფდა და ფერდობსაც მათგან შემორჩა სახელწოდება.

სამხრეთ საქართველოში არის ადგილი — ბრმა წყა-

რო. სავარაუდოა, რომ იქ ოდესღაც ყოფილა წყარო, რომელიც უკვალოდ გამქრალა.

არის ისეთი წყაროებიც, ოდესღაც რომ დაკარგულან და შემდეგ ისევ აღუდგენიათ. მაგალითად, ქარელის რაიონში ტანაყრილი ხეების ჩრდილში ძველად თურმე მოჩქეფდა ინდოღელას წყარო, მაგრამ უგულო ადამიანებს ის ხეები მოუჭრიათ, იქაურობა გაუპარტახებიათ. წყარო თანდათან ბაყაყების ბუდედ გადაქცეულა, შემდეგ კი უკვალოდ დაკარგულა. მაგრამ გავიდა წლები, მზრუნველმა და გამრჯე ადამიანებმა წყარო აღადგინეს 1966 წელს, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, და მას შოთას წყარო უწოდეს. ასეთივე ბედი ეწია სოფელ ლამისყანაში გურამიშვილის წყაროს.

ჩვენს ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის უზრუნველყოფას სასმელი და სარწყავი წყლით. მრავალი წყარო უკვე დიდი ხანია ჩადგა ხალხის სამსახურში. ყვარლის რაიონში საუკუნეების განმავლობაში კავკასიის მთებისაკენ მიმდინარე „უკუღმა წყარო“ წალმა წამოიყვანეს, პირი ალაზნისაკენ აქნევინეს და კუდიგორის მთის ფერდობების გამწვანების, „წაბლიანის ხეივნის“ გაშენებისთვის გამოიყენეს.

აჭარის მთებში ცრუმორწმუნეობის გამო გაუქმებული „ჭინკის წყარო“ ორიათასი მეტრის სიმაღლიდან შუახევის რაიონის ცენტრში გამოიყვანეს რკინის მილებით და ახლა შეუწყვეტლივ მოჩქეფს ონკანებიდან მისი ყინულივით ცივი, კამკამა წყალი.

დიდი სამამულო ომის შემდეგ მრავალ წყაროსთან აღიმართა ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი ობელისკი. ასეა, მაგალითად, თიანეთის რაიონში ვაჟას წყაროსთან, მანგლისში კობის წყაროს მახლობლად, ფიჭვნარში...

საყურადღებოა წყაროების სახელწოდებანი. ზოგ წყაროს სახელწოდება ადგილმდებარეობის მიხედვით აქვს შერქმეული, მაგალითად: კლდის წყარო სოფ. კრიხში (რაჭა); უღელტეხილის წყარო სურამის უღელტეხილის დასაწყისში; გვირაბის წყარო თელავში, გალავანთან...

ბევრ წყაროს ცნობილი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, სახალხო გმირების სახელის ან გვარის მიხედვით აქვს სახელი შერქმეული. ასეთებია შოთას წყარო ვარძიაში, ილიას წყარო წიწამურსა და საგურამოში, ვაჟას წყარო არაგვის ხეობაში, ჩარგლაში, არსენას წყარო ქვიშხეთში, მაიაკოვსკის წყარო მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზოში და სხვ.

უხვად გვხვდება წყაროს მფლობელის, აღმომჩენის ან შემკეთებლის სახელით ცნობილი წყაროები, მაგალითად: მეფის წყარო, დედოფლის წყარო, ბატონის წყარო. ეს წყაროები ლამაზ და მოხდენილ ადგილებში მოჩქეფენ. თელავში ბატონის წყარო ქალაქის ცენტრშია, იგი მეფე ერეკლეს საყვარელი წყარო ყოფილა.

ბატონის წყაროები არის სოფელ ტეზერში (ხაშურის რაიონი), სოფ. ხეიდაში (ცხინვალის რაიონი) და კიდევ მრავალ ადგილას. ალბათ, საქართველოში რამდენი მეფე, დედოფალი, მთავარი და თავადი იყო, იმდენი ბატონის წყარო იქნებოდა. ზოგიერთმა ჩვენს დრომდე მოაღწია, ზოგიც დაშრა, მაგრამ უკვალოდ არ დაკარგულა; [illegible] ხელწოდება შერჩა იმ ადგილს, სადაც იგი ოდესღაც [illegible] რაკრაკებდა. მაგალითად, ვანის რაიონში, აჭარა-იმერეთის ქედზე, უმაღლეს მწვერვალს მეფის წყარო ჰქვია... ამჟამად იქ წყაროს ნაკვალევიც არსად არის, მაგრამ ადგილის სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც იქ რომელიღაც ქართველი მეფის სახელობის წყარო ყოფილა.

მთელ რიგ წყაროებს შერქმეული აქვთ ფრინველების, ცხოველების, მცენარეების სახელები, მაგალითად: მიმინოს წყარო, მტრედის წყარო, ბულბულის წყარო, ჩიტის წყარო, დათვის წყარო, დევის წყარო, ნიგვზის წყარო, ბაღის წყარო, კაკლის წყარო და სხვ.

ზოგი წყაროსათვის სახელწოდება თავისი ხმოვანების ან წყლის სიმცირე-სიუხვის მიხედვით შეურქმევიათ: ხარხარა წყარო, ლიკლიკა წყარო, წინწკალა წყარო, ხუფხუფთა წყარო, ბუყბუყა წყარო... რამდენ წყაროს ჰქვია მშვენიერი პოეტური სახელი, ვთქვათ, ალმის წყარო, ბროლის წყარო, გაპარული წყარო, ვინ გიშლის წყარო...

ისეთი წყაროებიც არსებობს, რომლებსაც უკვდავების წყაროს სახელით მოიხსენიებენ. ამის უამრავი მაგალითია ქართულ ფოლკლორში, „აბესალომ და ეთერში“ მომაკვდავი უფლისწული აბესალომი თავის ვეზირ მურმანს მიმართავს: „უკვდავებისა წყაროსა ცხრაწყაროსას მომაწვდიდე, მომიტანდე, შემასმევდე, ეგებ ცოტა მოვმჯობინდე“. ასეთი შემთხვევები არა მარტო ზღაპრებში, სინამდვილეშიც გვხვდება. ცნობილი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი სიკვდილის წინ ასევე მიმართავდა მეგობრებს: „სიღნაღიდან თავგატეხილას წყაროს წყალი მომიტანეთ, დამალევინეთ, იქნებ მოვრჩეო“. ლოგინად ჩავარდნილი ლადო ასათიანი თავისი სოფლის წყაროს ბინულის წყალს ნატრობდა, „სიკვდილსაც უკან დაახევინებს ბინულის სიცოცხლის წყაროო“. ასევე ნატრობდა სიკვდილის წინ გიორგი ლეონიძე პატარძეულის გულიაანთ წყაროს წყალს.

ყველა წყარო წმინდა და კეთილია. მიწის გულიდან მოჩუხჩუხებს და მის ჩქერებში სიცოცხლე ჩქეფს, მზე იღიმება; თითოეულს თავისი წარსული, თავისი საინტერესო თავგადასავალი აქვს. მრავალი წარმტაცი ლექსი, ლეგენდა და თქმულებაა დაკავშირებული სოფლის წყაროებთან.

ქართველი კაცი ყოველთვის თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავისი მამულის სიცოცხლის იარღვებს, მიწის გულიდან მოჩუხჩუხე წმინდა წყაროებს. დაე, იჩუხჩუხონ მათ, ირაკრაკონ, უხვად იდინონ ყველას გულის გასახარად; გიორგი ლეონიძის თქმისა არ იყოს,

**ნეტავ ნატვრა ამისრულდეს,**
**სანატრელი, მე რომ მინდა,**
**ამოდუღდეს წყაროები**
**წკრიალა და გემოწმინდა,**
**ჩუხჩუხებდნენ, კაშკაშებდნენ**
**თვით სამშობლოს გასახარად...**

# ყურადღება თითოეულ პიონერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური კრების შემდეგ ჩვენი კლუბის მისამართზე უამრავი ბარათი მოდის, ძირითადად გვწერს პიონერული აქტივი, ზოგმა რედაქციაშიც მოგვაკითხა, რჩევა გვთხოვა. აქტივისტებს ბევრი საკითხი აღელვებთ, აინტერესებთ, როგორ უნდა მოიქცნენ, როცა პიონერული მუშაობისათვის დრო არ რჩებათ. როცა ზოგჯერ ქაღალდზე დაწერილი გეგმები მხოლოდ ლამაზი ოცნებაა, რადგან არ აქტიურობენ პიონერული რგოლები: არ იგრძნობა პიონერინსტრუქტორების დახმარება: ნაკლებად ექცევა ყურადღება პიონერთა თაოსნობას და უფრო უფროსთა განკარგულებები სრულდება: პიონერები ზოგჯერ შეკრებიდან გარბიან და ა. შ.

ამჯერად „კოცონში" შეკრებილმა თბილისელმა კომკავშირელებმა — რაზმის ხელმძღვანელებმა გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები:

**ცირა მოლაშხია,** თბილისის 101-ე სკოლის რაზმეულის მე-6 რაზმის ხელმძღვანელი.

თავიდან ჩემი შეხვედრა პიონერებთან ძალზე უფერული იყო. დარჩით-მეთქი, რომ ვუთხარი, სულ გაიქცნენ. შევატყვე, პიონერულ მუშაობას გადაჩვეულნი იყვნენ. შემდეგ რაზმის გეგმას გადავხედე — წერილობით ბევრი საკითხი იყო შესული ამ გეგმაში, შესრულებული კი ცოტა რამ.

როცა მამაჩემმა გაიგო, რომ რაზმის ხელმძღვანელობა დამევალა, მითხრა: — დიდი მოვალეობა დაუკისრებიათო. პიონერულ ასაკში მამა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე იყო გლდანის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში, თავისი გამოცდილება გამიზიარა, დამამშვიდა. პიონერები ნელნელა შემეჩვივნენ. მამა რომ არა, ალბათ გამიჭირდებოდა მუშაობა.

მე და ჩემი რაზმის პიონერებმა ყურადღებით წავიკითხეთ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" ფურცლებზე გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის წერილი „მოქალაქე წითელი ყელსახვევით". წერილის წაკითხვის შემდეგ კი ბევრი ვისაუბრეთ პიონერის მოვალეობაზე. რაზმში მუშაობა თანდათან ავაწყეთ.

**ელენე საანიშვილი,** თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მე-4 რაზმის ხელმძღვანელი.




პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი

ნათელა ფაილოძე

ბევრს როდი უყვარს ნაკლზე რომ მიუთითებ. როცა ზოგიერთთან პრინციპულობა გამოვიჩინე, არ მოეწონათ, იუკადრისეს კიდეც. პიონერული რაზმი კი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი უნდა იყოს. როცა რაზმში პირველად წამოვიწყე საუბარი პიონერულ მუშაობაზე, ნახევარმა ყურიც არ მომიგდო. გავჯავრდი და განვაცხადე, ვისაც საქმის გაკეთება არ უნდა, შეუძლია დაგვტოვოს-მეთქი, ასეც მოხდა, ნახევარი დარჩა. იხტიბარი მაინც არ გავიტეხე, იმ ნახევართან ვიმუშავე, შემდეგ სათითაოდ შემოგვემატნენ დანარჩენები... ერთი კია — სულ გზაზე ვართ გაკრული, ძალიან მოგვწონს ექსკურსიები, კოლექტიური სვლები კინოსა და თეატრებში, ხშირად ერთად ყოფნამ პიონერული რაზმი ძალიან მეგობრული გახადა.

რაზმის ხელმძღვანელებთან საუბრისას თბილისის 85-ე სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, თბილისის პიონერთა აქტივის საქალაქო შტაბის კოცონის თავმჯდომარე კობა გილაშვილი შემოგვესწრო, მან უთხრა რაზმის ხელმძღვანელებს, რომ მთავარია შეცდომა არ მოხდეს ანგარიშგება — არჩევნების დროს, ამიტომ ამ კომპანიისათვის საგულდაგულოდ მზადებაა საჭირო. რგოლის, რაზმის თუ რაზმეულის წინამძღოლად მხოლოდ ღირსეულნი უნდა ავირჩიოთ და პიონერებსაც არ გაუჭირდებათ მუშაობაო.

რაზმის ხელმძღვანელებმა კ. გილაშვილის მეორე რჩევაც ყურად იღეს: პიონერებს რომ ზოგჯერ საინტერესოდ არ ეჩვენებათ პიონერული მუშაობა ეს იმიტომ, რომ საკავშირო თუ რესპუბლიკურ აქციებს, ოპერაციებს, ექსპედიციებს ყველა პიონერი კარგად არ იცნობს და საჭიროა კარგად განუმარტოს პიონერებს მათი მნიშვნელობაო. თითოეულმა უნდა იცოდეს, რა მოეთხოვება, როგორია მისი წვლილი რაზმის საერთო საქმიანობაში.

აქვე კობამ რაზმის ხელმძღვანელებს შეახსენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის — ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის სიტყვები მისი გამოსვლიდან პიონერმუშაკთა რესპუბლიკურ კრებაზე: „...პიონერული ორგანიზაცია ეს არის არა ორგანიზაცია ბავშვებისათვის, არამედ ბავშვთა ორგანიზაცია. აქ მოქმედებს ზუსტი საწესდებო მოთხოვნები, თავისი კანონები და მათ, პიონერული ორგანიზაციის ამ შინაგან კანონებს, ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ — დიდმა და პატარამ." — ასე: პიონერთა ორგანიზაციის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გრძნობს თითოეული პიონერი თავს რგოლში, რაზმში და მთელ რაზმეულში.




## გაკვეთილი მე-9

### აჟურული თხელი ბლუზა

თხელი ბლუზა იქსოვება, როგორც ცალ-ცალკე დეტალებით, ისე ერთიანად — ყელიდან დაწყებული რეგლანი სახელოებით. გავეცნოთ ყელიდან ქსოვას. აიღეთ თქვენი ყელის ზომა. ვთქვათ, ამ ზომაში ჩაეტია 80 თვალი. აქედან 8 თვალი გამოყავით რეგლანის ხაზისათვის, 12-12 თვალი სახელოებისათვის, 26 თვალი წინა გულისათვის, 22 თვალი ზურგისათვის.

აკრიფეთ 80 თვალი, ქსოვეთ წრიულად. მოქსოვეთ რეზინი 1X1-ზე ან 2X2-ზე. შემდეგ ქსოვეთ ნაყშით. მოქსოვეთ 26 თვალი, გააკეთეთ ნამატი, შემდეგ 2 თვალი წალმით გამოქსოვეთ და საერთოდ რეგლანის ხაზის თვლები ქსოვეთ წალმით. კვლავ ნამატი; შემდეგ მხრის 12 თვალი მოქსოვეთ, გააკეთეთ ნამატი, 2 თვალი წალმა, ნამატი, 22 თვალი ნაყშით, ნამატი. 2 თვალი წალმა, ნამატი, 12 თვალი ნაყშით, ნამატი, 2 თვალი წალმით, ნამატი. ასე რომ რეგლანის ხაზის მარჯვნივ და მარცხნივ ვუმატებთ. ნამატი შეიძლება ამ შემთხვევაში გამოვქსოვოთ პირდაპირ ისე, რომ ნახვრეტი დარჩეს.

მატებით ვქსოვოთ იღლიამდე ისე, რომ მხრის რეგლანის ხაზებს შორის ნაქსოვი მკლავს გარშემო ეყოფოდეს, შემდეგ სახელოს თვლები გადავიღოთ სხვა ძაფზე, დანარჩენი თვლები ვქსოვოთ წელამდე, წელთან 3-4 სმ რეზინით მოვქსოვოთ და გადავხუროთ.

სახელოს თვლები გადავიღოთ ჩხირზე. ვქსოვოთ წრიულად 6-7 სმ (თუ გაგიძნელდათ წრიულად ქსოვა, მოქსოვეთ გაშლილად და შემდეგ გაკერეთ). ბოლოს 2-3 სმ რეზინით დაამთავრეთ (სურ. № 1).

გთავაზობთ რამდენიმე ნაყშს აჟურული ბლუზისთვის:



ნიმუშისათვის ავკრიფოთ 26 თვალი, პირველი და ბოლო თვალი ნაყშში არ შედის. შემდეგ:

1-ლი რიგი: 2 უკულმა, 4 წალმა და ასე რიგის ბოლომდე.



მე-2 რიგი და ყველა წყვილი რიგი იქსოვება ისე, როგორც ნაყში გვიჩვენებს.

მე-3 რიგი: 2 უკულმა, ნამატი, ორი ერთად ქვეშიდან წალმით, 2 წალმა და ა. შ. რიგის ბოლომდე.

მე-5 რიგი: 2 უკულმა, ერთი წალმა, ნამატი, 2 ერთად, 1 წალმა და ა. შ.

მე-7 რიგი. 2 უკულმა, 2 წალმა, ნამატი, 2 ერთად, და ასე რიგის ბოლმდე.

შემდეგ ნაყში მეორდება მესამე რიგიდან (სურ. № 2).

ნიმუშისათვის ავკრიფოთ 20 თვალი.

1-ლი რიგი: 2 უკულმა, 7 წალმა, 2 უკულმა, 7 წალმა, ასე რიგის ბოლომდე.

მე-2 რიგი და ყველა წყვილი რიგი იქსოვება ისე, როგორც ნაყში გვიჩვენებს.

მე-3 რიგი: 2 უკულმა, 2 წალმა, 2 ერთად, ნამატი, 3 წალმა და ასე რიგის ბოლომდე.

მე-5 რიგი: 2 უკულმა, 1 წალმა, 2 ერთად, ნამატი, 1 წალმა, ნამატი, 2 ერთად, 1 წალმა.

მე-7 რიგი: ორი უკულმა, 2 ერთად, ნამატი, 3 წალმა, ნამატი, 2 ერთად. შემდეგ ნაყში მეორდება პირველი რიგიდან (სურ. № 3).

ნიმუშისათვის ავკრიფოთ 20 თვალი.

1-ლი რიგი: ყველა თვალი წალმით.



მე-2 რიგი: ყველა თვალი უკულმით.

მე-3 რიგი: იქსოვება ისე, როგორც მეორე რიგი.

მე-4 რიგი: იქსოვება როგორც მეორე რიგი.

მე-5 რიგი: 2 ერთად ქვეშიდან წალმით, ნამატი და ასე რიგის ბოლომდე.



მე-6 რიგი და ყველა წყვილი რიგი ისე, როგორც მეორე რიგი.

მე-7 რიგი და ყველა კენტი რიგი ისე, როგორც მე-5 რიგი.

ლილი ზურაბაშვილი

## საინტერესო ამბები

### უცნაური ხეები

წარმატებით ცვლის ყავას. ხის წვენისაგან გამახალისებელ სასმელს აყენებენ. ყოველივე ამასთან ერთად, ეს მცენარე შეუდარებელი მოკავშირეა ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში: სულ რაღაც ექვსიოდე წლის მანძილზე ხის სიმაღლე 20 მეტრს აღწევს, სისქე კი — 40 სანტიმერს (ამავე დროში მუხა მხოლოდ 3-3,5 მეტრის სიმაღლემდე იზრდება).

სპეციალისტების რჩევით, ხელსაყრელია ამ ხის მოშენება იმ ადგილებში, სადაც წინათ ტყეები იყო და გაჩანაგებულა. მართალც, თუ გავიხსენებთ, რომ ტროპიკებში ტყეთა ფართობი ყოველწლიურად 105 ათასი კვადრატული კილომეტრით მცირდება (ეს დაახლოებით უდლის ისლანდიის ფართობს), ცხადი გახდება, რომ სწრაფად მზარდი სიუხვის ხის ტყეების გაშენება მართლაც პერსპექტიულია, როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისითაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა



საპირფარეშოს ავზაკი თუ წყალს უშვებს, გამოძახებული სანტექნიკოსის მოსვლამდე ავზაკის ბუშტულა ცელოფანის პარკში ჩადე და თავი საიზოლაციო ლენტით კარგად მოუკარი.



პენოპლასტის გაჭრა მეტად იოლია ელექტროშემდუღებლის მეშვეობით, ოღონდ, საამისოდ, შემდუღებელი საწრეტელი ისე უნდა გაბრტყელო, რომ დანის პირს დაამსგავსო.



ზამთარში ყინულზე ფეხი რომ არ დაგიცდეს, ფეხსაცმლის ქუსლს ასეთი მოწყობილობა გაუკეთე. ეს იმითაც არის მარჯვე სახმარი. რომ სახლში შესვლისას კბილანას მოიხსნი და იატაკი აღარ დაზიანდება.



ბრტყელტუჩამ გაჯიუტება იცის და ზოგჯერ მისი მოკეცვა თუ გახსნა ძალიან ძნელდება. ღერძს შუაში პაწია ნასვრეტი გაუკეთე და ბრტყელტუჩას გახსნა-დაკეცვა აღარ გაგიჭირდება.



ეს საკრეფი კი ბლის და ალუბლის მოსაკრეფად გამოგადგება. აქ ტარზე თუნუქის ქილა უნდა მიამაგრო. ქილას ვარსკვლავისებურად უნდა ჰქონდეს ამოჭრილი ზედაპირი.



თაროზე თუ კარადაში დაწყობილი მინის ჭურჭელი შეხლა-შემოხლისას ერთმანეთს იოლად ბზარავს და ამსხვრევს. შემოაცვი მინის ტარას ავტომანქანის კამერისაგან გამოჭრილი რგოლები და ქილები, ბოთლები, ბოცები ერთმანეთს აღარ დააზიანებს. (ასეთი რგოლები მისწრებაა ჭურჭლის ტრანსპორტირებისას).





# სარჩევი


ნიკო პაპა გვილოცავს ახალ წელს . . . . . გარეკ. 2
**შამფრიანი ს.** — გაიხაროს მიწამ მშობელმა (ლექსი) 1
**მერაბიშვილი ე.** — გეში (მოთხრობა) . . . . 2
**მიშველაძე ბ.** — ყველა გზა ხუთიანებისკენ მიდის (ნარკვევი) . . . . . . . 9
**გრიგოლაშვილი დ.** — სულადი (წერილი) . . 13
**ბარათაშვილი ლ.** — ბალადა პურზე (ლექსი) . . 15
**ჩხეტიანი მ.** — ლექსები . . . . . . 16
**ცერცვაძე ვ.** — როცა სამშობლოს უჭირდა (ნარკვევი) . . . . . . . . . . 17
**ანდრონიკაშვილი ნ.** — რატომ ჰქვია სოფელს ვარდისუბანი? (მოთხრობა) . . . . . . . . 20
**გოლიავკინი ვ.** — ასე ვხვდებოდით ახალ წელს (მოთხრობა) . . . . . . . . 22
საინტერესო თემაზე . . . . . . 23
აისი . . . . . . . . . . 24
შენი უცხოელი თანატოლები . . . . 25
**გეგეჭკორი არნ.** — ცხოველთა მეგობრობა (წერილი) 26
**თომაძე მ.**—მიწის გულიდან მოჩუხჩუხებს (წერილი) 28
კოცონი . . . . . . . . . 30
**ზურაბაშვილი ლ.** — ქსოვა (წერილი) . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . გარეკ. 3


**გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ზურაბ მეძმარიაშვილისა.**


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: **ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი** (მხატვარი-რედაქტორი), **გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი** (პ/მგ. მდივანი), **ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 20. XI. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. I. 82 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 3000, ტირ. 151 400. ეგ. უე 06014.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 151400 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი", 1982 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. არგონავტების მითის პერსონაჟი; 8. ფულის ერთეული იტალიასა და თურქეთში; 10. ხოფელი ადიგენის რაიონში; 12. ვერტიკალურად მოძრავი მანქანა მრავალსართულიან შენობებში; 13. ცხოველი; 14. სახელგანთქმული კომედიური კინომსახიობი; 16. თვალი პატიოსანი; 18. ძველბერძნულ მითოლოგიურ გმირთა ხომალდი; 19. ნორვეგიელი დრამატურგი; 21. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული პატარა მაიმუნი; 22. დიდი სასული მუსიკალური საკრავი; 23. გვიანდელი ხანის მონათმფლობელური სახელმწიფო ამიერკავკასიაში; 25. სურნელოვანი ფისი; 29. აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 31. ავსტრიელი კომპოზიტორი; 32. ქალაქი კანადაში; 34. ცირკის მოედანი; 35. ნანქანათმშენებელი ფირმა საფრანგეთში; 36. ჭრელობა ანუ? 37. შენობა საბანაო მოწყობილობით.

შვეულად: 1. კუბელი პოეტი; 2. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; 3. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; 4. თანამედროვე ფრანგი მწერალი; 7. აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი; 9. ამერიკის ნახევარკუნძული; 10. ჩქარი ტემპი მუსიკაში; 11. ბრაზილიელი მწერალი; 15. პოლონელი მწერალი; 17. წუხილი ანუ? 20. მდინარე აზიაში; 21. ტურგენევის მოთხრობა; 22. ქალაქი ნორვეგიაში; 24. მდინარე ევროპაში; 25. დასაზელი წამალი; 26. თ. დოსტოევსკის რომანი; 27. ქალაქი იაპონიაში; 28. მდინარე საქართველოში; 30. ფრანგი მწერალი; 31. სიტყვა შინაურის ანტონიმი; 33. ერთუჯრედიანი ცხოველი; 34. რახმანინოვის ოპერა.

ლელა ბრეგვაძე,

ქ. ტყიბულის მე-7 საშუალო სკოლა, VIII კლასი.



## გამოცანები

●

გინდ დღე იყოს, გინდ ღამე,
იდგეს ღრუბლის ქოსი,
ის მაინც გიპასუხებს:
მზე საიდან ამოდის.

●

თეთრ საბან ქვეშ მყოფი
შავი „ავადმყოფი",
საბანი რომ გაწყალდა,
„ავადმყოფი" გამწვანდა.

●

მეც მზეს დავდევდი, ისე ვით
ჩემი მშობელი დასდევდა,
სასჯელი გამომიტანეს:
თავის მოჭრა და გაბეგვა.

ფირუზ უტიაშვილი

პასუხი 1981 წ. № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

გამოცანები

ვაზი, ფუტკარი, თევზი, ია, ელჭექი.

ფოკუსის მიღმა



ფოკუსის შემსრულებელს ხელში უჭირავს ჩვეულებრივი გრაფელის დაფა, რომელსაც მაყურებელთა დარბაზს გადასცემს, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ დაფას არავითარი საიდუმლოება არ გააჩნია და ზედაც არაფერი წერია. შემდეგ მაგიდიდან იღებს თეთრ ქაღალდს და დაფას მასზე ახვევს. ყველა ხედავს, რომ არც ქაღალდზე წერია რამე. შემსრულებელი მაყურებლებს სთხოვს დაასახელონ ნებისმიერი ორნიშნა რიცხვი. მაყურებლები ამ რიცხვს რამდენჯერმე იმეორებენ. შემსრულებელი ქაღალს შემოხსნის და დაფას დარბაზს უჩვენებს. მასზე დასახელებული რიცხვი წერია.

რაშია ფოკუსის საიდუმლოება?

აიღე ხორკლიანი ქაღალდი და მას ერთ მხარეს თანაბარ ფენად წაუსვი კბილის ფხვნილი, ზედმეტი ფხვნილი გადმოფერთხე. ამ მხარეზე დაკეცე ქაღალდი და ფოკუსის ჩვენებამდე შეინახე.

როცა მაყურებელს დაფასა და „სუფთა" ქაღალდს აჩვენებ, ქაღალდი ისე შემოახვიე, რომ ფხვნილწასმული მხარე დაფის ზედაპირს ეხებოდეს. მაყურებელი რიცხვს რომ დაასახელებს, დაფა შენს წინ დაიჭირე და თითით ქაღალდზე შეუმჩნევლად დაწერე ეს რიცხვი. იგი გრიფელის დაფაზე აღიბეჭდება.

ემილ კიო

ნახატი ა. ზახაროვისა

„იუნი ტეხნიკ"

ლექსი **დოდო გვიშიანისა**

მუსიკა **გივი ალაზნისპირელისა (რიკიაშვილის)**

# გილოცავთ თოვლის პაპა

1. ციდან დაეშვა თოვლის ფარდები,
ამოქარგული თეთრი ვარდებით,
უკან დავტოვე ზღვა და შორეთი
და მოსალოცად თქვენთან მოვედი.

მისამღერი:

რაც კარგი იყო, სულ თქვენთვის მსურდა
და საჩუქრებით გავავსე გუდა,
სითბო, სიკეთე, სიტკბო ულევი
იყოს საგზალი თქვენი გულების.

2. ლხინით, სიმღერით, დაფით, ნალარით
მომილოცნია წელი ახალი;
წინას მადლიანს, სავსეს სიკეთით,
არ მოეშალოს თქვენი იმედი.

